ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 15 მაისი, 2017 №113 (7348) ფასი: 50 თეთრი

## როგორია რუსეთის რბილი ძალა საქართველოში?



ამერიკელი ექსპერტი: „რუსეთის რბილმა ძალამ მის მოსაზღვრე ქვეყნებზეც მოახდინა გავლენა“ გვ.5

**11 მაისიდან**

სულხან-საბას **იგავები**

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

# „ოთარ ფარცხალაძემ სილა ირაკლი კობახიძესაც გაანნა“

გვ.5

„დეპუტატებსაც უნდა გამოეხატათ შეშფოთება, მაგრამ ამის ნაცვლად მათგან უცნაური შეფასებები მოვისმინე. ლევან გოგიჩაიშვილმა განაცხადა, თორდია მამა აბრამის ბატკანი არ ყოფილაო. მე არ ვამტკიცებ, რომ ლაშა თორდია მამა აბრამის ბატკანია. ის აუდიტის სამსახურის უფროსად „ქართულმა ოცნებამ“ დანიშნა. თუ ის მამა აბრამის ბატკანი არ იყო, რატომ აირჩიეს ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე?“

## ზვიად კუპრავა: „ამ ქვეყანაში კანონი დამთავრდა“

## ლაშა თორდია: „ოთარ ფარცხალაძემ დამარტყა ხელი, რასაც მისი გარემოცვის მხრიდანაც მოჰყვა თავდასხმა“

გვ.7

რა მოხდა კაფე „ელ ცენტროში“

„მას თუ ჰგონია, რომ ამით რაღაც შიშს დანერგავს და ვიღაცა რაღაცას გადაასწორებს, ძალიან ცდება“

გვ.2

## სოსო ცისკარიშვილი: „ფრთხილად, არსებობს სესხი, რომელიც შხამის შემცველია!“

გვ.3

## დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტრო პოლიტიკოსებით გადაივსო“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ევროკავშირის კომისია ბონუსსისტემას მხარს არ დაუჭერს“

გვ.2

ISSN 1987-9385

## ლაშა ჩხარტიშვილი: „კალაძეს სახლში მივუვარდები“

გვ.4

„ხელისუფლებამ მთიულეთში საფლავების ამოთხრა დაიწყო“

# სოსო ცისკარიშვილი: „ფრთხილად, არსებობს სესხი, რომელიც შხამის შემცველია!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბის თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი პასუხობს.

***– ბატონო სოსო, კონსტიტუციის პროექტმა მოიარა რეგიონები. გაიმართა საყოველთაო სახალხო განხილვები. რა გაიგო ამ განხილვებით საზოგადოებამ, ჩასწვდა კონსტიტუციის რეალურ შინაარსს?***

– როდესაც ვუსმენთ გამოსვლებს სცენიდან, ძალაუნებურად გვახსენდება წინა კონსტიტუციის განხილვები ნაციონალური მოძრაობის მიერ. ნამდვილად უფრო მეტი ადამიანი ესწრება წლევანდელ გარჩევებს, მაგრამ არც წინა კონსტიტუციასა და არც დღევანდელ შეთავაზებას კონსტიტუციისა რეალურად არ ფლობს მისი შინაარსით ჩვენი საზოგადოება. არავის აქვს არც დრო და არც შესაძლებლობა, რომ უფრო ღრმად ჩაიხედონ ამა თუ იმ საკითხში. არც ოპოზიციაა დიდად სახარბიელო მდგომარეობაში. საპარლამენტო უმრავლესობის თხუთმეტიოდე აგრესიული ზონდერი აქტიურობს.

***– რატომ არიან ზონდერები, ან ვის გულისხმობთ?***

– ამ პარტიის მამა-მარჩენალმა წლების განმავლობაში ვერ მოახერხა, პრივატიზაცია გაეკეთებინა პრეზიდენტისა და ომბუდსმენისთვის. სწორედ ამიტომ ეს ორი უაღრესად პატივსაცემი პირი ყოველდღიურად არის მიჭირხვნის ობიექტი. სწორედ ამ აგრესიული ზონდერჯგუფის ხელით აკეთებს ამას ამ პარტიის მამა-მარჩენალი. ეს ზონდერძალა არის ის ძალა, რომელიც ნამდვილად შფოთს ბადებს ქვეყანაში, იმ დროს, როდესაც შფოთის საგანი შესაძლებელზე უფრო მეტია. ალბათ, ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩვენი მკითხველისთვის, რამდენ მეოცნებეს აქვს ექვსნიშნა ციფრის შემცველი კრედიტები ქართუ ბანკიდან!

***– ამით რის თქმა გინდათ?***

– წინა პარლამენტშიც მეგულებოდა ადამიანები, რომლებიც საკუთარი თავისუფლების კოეფიციენტს პატივს არ სცემდნენ, მაგრამ გასაგებია, როდესაც უზარმაზარ სესხს იღებ ბანკიდან და ეს ბანკი ეკუთვნის მთავარ მეოცნებეს, ამ ადამიანის სურვილთა წინააღმდეგ წასვლა იქნება კატასტროფა არა მხოლოდ ამ პირისთვის, არამედ მთლიანად მისი ოჯახისთვის. ძალიან საინტერესო იქნება, დაინტერესდეთ და გამოამზეუროთ, ვის და რამდენი აქვს სესხი ქართუ ბანკიდან.

***– ანუ დეპუტატები ივანიშვილის მხრიდან ფინანსურ ტყვეობაში არიან?***

– ტყვეობას ვერ დავარქმევ, იმიტომ, რომ დაძალებით სესხს არავინ იღებს, თუმცა შეთავაზებისგან თავის დაღწევას უფრო მეტი პრინციპულობა სჭირდება, ვიდრე ამას ჩვენ ვაკვირდებით. ჩემს თავსაც ვადანაშაულებ, რომ ახალარჩეული პარლამენტარები და მთავრობა დროულად არ მივახვედრე – ფრთხილად, არსებობს სესხი, რომელიც შხამის შემცველია!

***– პრეზიდენტი აქტიურად მონაწილეობს განხილვებში, თან ამის ფონზე აცხადებს, რომ ძალიან ბევრი ტაშის დამკვრელია მოყვანილი ამ შეხვედრებზე. მოვისმინეთ შეფასებებიც, რომ ხელისუფლებას დემოკრატიულობის იმიჯს უქმნის მარგველაშვილი ამ განხილვებში მონაწილეობით. თქვენ რას იტყოდით?***

– ესეც პრეზიდენტის მიმართ არცთუ კარგად განწყობილი ადამიანების ნაფიქრალია, რომ თურმე ის „ქართულ ოცნებას“ აკეთილშობილებს. პრეზიდენტის ვალდებულება სწორედ ის არის, რომ სახელმწიფო და მისი მმართველობა იყოს მისაღები როგორც საკუთარი საზოგადოების, ასევე საზღვარგარეთელი პარტნიორებისთვის.

ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არსებობს არაფორმალური ხელისუფალი, მისთვის კონსტიტუციის პრივატიზაცია პრობლემური არ არის! ადამიანმა, რომელმაც დიდი და შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, გაძლიერებისთვის, თავის მადლს, ნაცვლად იმისა, რომ ზემოდან მარილი მოეყარა, თავს ლაფი გადაასხა!

***– ლაფი ვის გადაასხა, ქვეყანას?***

– როგორც ქვეყანას, ისე საკუთარ თავს. არ არის აუცილებელი საყოველთაო რეფერენდუმი, რომლისგანაც იმალება „ქართული ოცნება“, ისევე, როგორც იმალებოდა ნაციონალური მოძრაობა.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ვენეციის კომისია ბონუსსისტემას მხარს არ დაუჭერს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში კონსტიტუციის საერთო-სახალხო განხილვის მნიშვნელობაზე საუბრობს.

***– ბატონო ვახტანგ, კონსტიტუციის ახალი რედაქციის განხილვები მიმდინარეობს რეგიონებში. ეს მხოლოდ ფორმალობაა თუ ხალხის მიერ გამოთქმულ შენიშვნებს ხელისუფლება გაითვალისწინებს?***

– კონსტიტუციისადმი ასეთი დაინტერესება საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში კარგა ხანია, არ ყოფილა. კონსტიტუციის სახალხო განხილვა დღემდე მაინც ფორმალურ ხასიათს უფრო ატარებდა. დღევანდელი ვითარება იმით განსხვავდება წარსულისგან, რომ უფრო ცოცხალია პროცესი და ეს აშკარაა. ადამიანები მართლაც არიან დაინტერესებული. გასაგებია, რომ „ქართული ოცნება“ ცდილობს, აუდიტორიაში მეტი მხარდამჭერი ჰყავდეს, რასაც ახერხებს კიდეც, მაგრამ, იმის თქმა, რომ ამ აუდიტორიაში ოპოზიციური, საწინააღმდეგო აზრი არ გამოითქმის, არასწორი იქნება.

რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, რამდენადაც ბატონმა მდინარაძემ განაცხადა, დგება ოქმი, სადაც ხდება ყველა საღი შენიშვნის გათვალისწინება, მაგრამ შემდეგ რამდენად ჰპოვებს ეს საბოლოო ვარიანტში ასახვას, ცოტა საკამათო საკითხია.

საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს არა იმდენად კონსტიტუციასა და მის ნიუანსებზე, არამედ იმაზე, რომ კონსტიტუცია არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, ჩამოყალიბდეს კონსტიტუციის მნიშვნელობაზე ქვეყნის მართვის პროცესში, რომ კონსტიტუცია არ არის განყენებული რამ. ეს განხილვები ამას ხელს შეუწყობს.

***– ოპოზიციის ჩართულობა, პრეზიდენტის მონაწილეობა, მიუხედავად თავიდან უარისა, რით არის განპირობებული?***

– ის დებატები, რომლებიც მიმდინარეობს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, მიუხედავად ცალკეული ინციდენტებისა, მაინც პოზიტიური ნაბიჯია. განსაკუთრებით გამოვყოფდი პროცესში პრეზიდენტის მონაწილეობას. მცირე დეტალია, მაგრამ მაინც არის აღნიშვნის ღირსი: პრეზიდიუმში გვერდიგვერდ სხედან სრულიად საწინააღმდეგო პოზიციის ადამიანები, მათ შორის პრეზიდენტი. ისინი არაფერში ეთანხმებიან ერთმანეთს, მაგრამ მაინც არის გარკვეული ნორმები დაცული.

ეს საზოგადოებასაც მიახვედრებს, თუ როგორი უნდა იყოს მაღალი დონის დებატები. სამკვდრო-სასიცოცხლოდ ვიყავით ერთმანეთს არც ისე დიდი ხნის წინ გადაკიდებული, ლამის გუშინ, რასაც, სამწუხაროდ, უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს სხვა პოლიტიკური კულტურის მოწმენი ვართ, რაც კარგია.

***– თქვენ კონსტიტუციით საზოგადოების დაინტერესებაზე საუბრობდით. ეს იმით არის გამოწვეული, რომ მართვის ახალ მოდელზე გადავდივართ თუ დემოკრატიის ხარისხი გაიზარდა?***

– დემოკრატიის ხარისხის გაზრდაზე საუბარი ჯერ ცოტა გადაჭარბებული შეიძლება იყოს, მაგრამ სწორია, პროცესი მაინც აქეთ მიდის. შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკური დებატების კულტურას ეყრება საფუძველი.

რაც შეეხება მმართველობის ახალ მოდელზე გადასვლას, არც ეს მგონია, მნიშვნელოვანი იყოს ამ მომენტში. დღეს არის რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რასაც გამოვყოფდი, მაგალითად, არჩევნების სისტემა, რომელიც აინტერესებს პოლიტიკურ სპექტრს და ასევე აინტერესებს საზოგადოებას.

იგივე შეეხება პრეზიდენტის არჩევის წესსა და მის უფლებამოსილებას. ეს დებატები თავისთავად ჩამოაყალიბებს საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის იმიჯსა თუ სახეს თავად საზოგადოებისთვის.

***– როგორი შეიძლება იყოს ვენეციის კომისიის დასკვნა? შეიძლება, მათ საარჩევნო სისტემა გააკრიტიკონ?***

– დიდი ალბათობით, ვენეციის კომისია შემოთავაზებულ ბონუსსისტემას მხარს არ დაუჭერს. ასევე მეეჭვება, რომ პრეზიდენტის პირდაპირ არჩევნებს დაუჭიროს მხარი, თუმცა პრეზიდენტის არჩევის ნებისმიერი ფორმა დემოკრატიულია. ასევე არა მგონია, საარჩევნო ბლოკებთან დაკავშირებით ჰქონდეთ გართულება, თუმცა 5%-იანი ბარიერი უდავოდ მაღალია და ამაზე იქნება მინიშნება.

თუ ხელისუფლება შემოთავაზებულ საარჩევნო სისტემას ვერ მიიღებს, მაშინ, დიდი ალბათობით, ძველი სისტემა დარჩება.

***– შერეული სისტემა? მაჟორიტარული არჩევნები?***

– დიახ, ამ მოთელვას მუდმივად აწარმოებს ხელისუფლება. ეს აშკარაა. ამის მაგალითად ხშირად მოჰყავთ მაჟორიტარები, რომლებსაც ვერ ითანხმებენ, რომ მაჟორიტარული არჩევნები გაუქმდეს. კენჭისყრის დროს თუ ამ კანონპროექტს საკმარისი ხმები არ დაუჭერს მხარს, მაშინ ჩავარდება და ძველი სისტემა დარჩება. ვნახოთ.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, რომლებიც ასევე შესულია კონსტიტუციის ახალ პროექტში, ქორწინების განმარტებასა და ევროატლანტიკური მისწრაფებების კონსტიტუციაში ჩაწერას სერიოზულად ვერ აღვიქვამ. სხვა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია, თუნდაც მოსამართლეთა დანიშვნის საკითხი, უშიშროების საბჭოს საკითხი, სახალხო დამცველთან დაკავშირებით და ა.შ.

# ნიკარაგუის მედია: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ძვირად დაგვიჯდება“

ნიკარაგუაში გამომავალი ოპოზიციური გაზეთის სტატიაში კომენტირებულია აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული კანონი 2017 წლის ფედერალური ბიუჯეტის თაობაზე, რომელსაც პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმაც მოაწერა ხელი.

ამ კანონში აღნიშნულია, რომ აშშ-ის მთავრობას ეკრძალება იმ სახელმწიფოების დახმარება, რომლებმაც აღიარეს რუსეთის ფედერაციის მიერ ყირიმის ანექსია და რუსეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს ტერიტორიები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და მათთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს.

ნიკარაგუა მსოფლიოს ოთხი სახელმწიფოდან ერთ-ერთია, რომელსაც საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან დიპლომატიური ურთიერთობა აქვს დამყარებული.

ორივეს დამოუკიდებლობის აღიარება დანიელ ორტეგას მთავრობის მმართველობის დროს მოხდა, როცა ნიკარაგუამ რუსეთთან თამაში დაიწყო, მოსკოვთან დაახლოების მიზნით.

– ამ კანონს აუცილებლად მოჰყვება არასასურველი შედეგები ნიკარაგუასთვის. შესაბამისად, დანიელ ორტეგამ უნდა აირჩიოს – გააგრძელებს თუ არა თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან, რომელიც ნიკარაგუის ყველაზე მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია.

რუსეთს არანაირად არ შეუძლია აშშ-ის ჩანაცვლება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სავაჭრო სივრცეში. შესაბამისად, ხელისუფლებას მოუწევს განსაზღვროს, რომელია მისთვის უკეთესი – რუსეთთან ეკონომიკური კავშირები თუ აშშ-სთან, – ამბობს ჯეისონ პობლეტე, საერთაშორისო სამართლის ექსპერტი.

მისი თქმით, აშშ-ის გადაწყვეტილება პირდაპირ ეფექტს მოახდენს იმ კანონის პოლიტიკურ მხარდაჭერაზე, რომელიც კონგრესში უნდა განიხილონ და რომელიც ნიკარაგუისთვის დახმარებასა და ინვესტიციებს ითვალისწინებს.

ექსპერტი განმარტავს, რომ აშშ-ის ბიუჯეტის კანონი თეთრი სახლის დღევანდელი ადმინისტრაციის ეკონომიკურ პოლიტიკას განსაზღვრავს. ეს ნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ვაჭრობა პრივილეგიაა და არა – უფლება. ტრამპის მიერ ხელმოწერილი კანონის საფუძველზე გამოჩნდება, რომელი ქვეყნები თვლიან ჩრდილოამერიკულ ბაზარს საჭიროდ და აუცილებლად თავიანთი ინტერესებისათვის.

ჯეისონ პობლეტე დარწმუნებულია, რომ კანონი დაუყოვნებელი ეფექტი მოჰყვება: „პროცესი უკვე დაიწყო და შედეგს მალე დავინახავთ“.

ისეთი ქვეყნებმა, როგორებიცაა კუბა, ვენესუელა, ბოლივია, ეკვადორი და ნიკარაგუა, უნდა გააცნობიერონ და მხედველობაში იქონიონ, რომ აშშ-ის პოლიტიკა იცვლება, რაც გულისხმობს ცვლილებებს ამ ქვეყნის ბაზარზე ყოფნასთან დაკავშირებითაც.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# დავით ნემსაძე: „თავდაცვის სამინისტრო პოლიტიკოსებით გადაივსო“

გულიკო ბალაძე



## „რეფორმა არაკონსტიტუციურად ჩატარდა“

სამხედრო ექსპერტი დავით ნემსაძე „ახალ თაობასთან“ თავდაცვის უწყებაში სისტემის რეფორმებს აფასებს.

***– ბატონო დავით, თქვენ სასამართლო პროცესები გვაქვს თავდაცვის უწყების წინააღმდეგ. რა წინააღმდეგობაში ხართ თავდაცვის სამინისტროსთან?***

– ეს მხოლოდ ღირსების პროცესია. თავდაცვის სამინისტროსგან არც ფული მინდა, არც – თანამდებობა. უბრალოდ, თავდაცვის სამინისტროდან ჩემი დათხოვნა ოფიცრის ღირსების შელახვა იყო. საოცრად მძიმე პროცესი გახლდათ, როცა მოხდა ადამიანის დევნა, ფაქტობრივად, პოლიტიკური ნიშნით.

***– რატომ პოლიტიკური ნიშნით?***

– იმიტომ, რომ ახალაიას დროს ჩემი თანამდებობა ბოლოს იყო ოცეულის მეთაური. მე არ მქონდა დიდი თანამდებობა, არ ვიყავი ჩემი განათლების შესაბამისად დანიშნული. ახალაიას დროს თუ გქონდა განსხვავებული აზრი, იდევნებოდი.

***– სამხედრო პირს აქვს უფლება, განსხვავებული აზრი ჰქონდეს და, თუ არ ეთანხმება, ბრძანება არ შეასრულოს?***

– თქვენ ვერ გამიგეთ. მე ვსაუბრობ ინიციატივაზე. სამსახურში შეიძლება გქონდეს ინიციატივა. სამხედროს აქვს ვალდებულება, თუ ის ხედავს, არმიის საწინააღმდეგო მოქმედებებს ჩადიან, უნდა იმოქმედოს საკუთარი ფიცისა და წესდების მიხედვით. ეს გამოარჩევს იმ ოფიცრებს, რომლებსაც აქვთ განსხვავებული აზრი. არ შეიძლება, შეიარაღებულ ძალებში სიტუაცია ისე განვითარდეს, როგორც ერთ დროს თავდაცვის სამინისტროში ვითარდებოდა.

***– როგორ ვითარდებოდა?***

– მე მქონდა განსხვავებული აზრი, რომელიც ხიდაშელის დროს იდევნებოდა.

არ ვიცი, ქალბატონ თინას რა იურიდიული განათლება ჰქონდა, მაგრამ თავისი თავი წარმოაჩინა მაშინ, როდესაც უარი თქვა კონსტიტუციის 101-ე მუხლის შესრულებაზე, როცა ტელეკამერების წინ უარი უთხრა საქართველოს ახალგაზრდა კონტინგენტს სამხედრო-სავალდებული ჯარში გაწვევაზე. მას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ მინისტრის ბრძანებით არ უქმდება კონსტიტუციის მუხლი. სწორედ ეს იყო ანტიკონსტიტუციური ქმედება, მაგრამ ყველაფერი გათვლილი იყო მის პიარნაბიჯებზე. როგორც ჩანს, ის არც კარგი პოლიტიკოსია და არც კარგი იურისტი.

***– თინა ხიდაშელი აცხადებდა, როცა ახალგაზრდებს ჯარში იწვევ და სათანადოდ არ უხდი, ეს მონური სამსახურიაო.***

– ხიდაშელმა ამით მთელი შეიარაღებული ძალები შეურაცხყო.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ სამშობლოსთვის სამსახური არ შეიძლება იყო მონური. მეორეც – შეიარაღებულ ძალებში მთელ რიგ პროცესებს აწესრიგებს სამხედრო წესდებები. მათ შორის, არის, მაგალითად, საყარაულო წესდება, რომელიც ადგენს გარკვეულ წესებს. ყარაული არის შეიარაღებული ქვედანაყოფი, რომელიც დაწესებულია საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. მითხარით, რა არის აქ შეურაცხმყოფელი და რა არის აქ მონობა? თუ მონობა არის საკუთარი ქვეყნის სამსახური, დიდი სიამოვნებით ჩავდგები ქვეყნის სამსახურში პირველ მონად.

***– პერსონებს თავი დავანებოთ და თავდაცვის სამინისტროს სისტემის რეფორმაზე ვისაუბროთ. როგორ აფასებთ სამხედრო უწყებაში მიმდინარე რეფორმას?***

– თავდაცვის სამინისტროში სისტემის რეფორმა უდავოდ გასაკეთებელი იყო, რადგან, რამდენი მინისტრიც მოდიოდა, თავისი კადრები მოჰყავდა. განსაკუთრებით ვისაუბრებ ბოლო პერიოდის მინისტრებზე, რადგან ნაცმოძრაობისა და ახალაიას პერიოდი კრიტიკას საერთოდ არ ექვემდებარება.

მოვიდა ალასანია, მოიყვანა თავისი თანაპარტიელების შვილები, მოვიდა თინა ხიდაშელი, მოიყვანა თავისი თანაპარტიელების შვილები, თანაპარტიელები. მაგალითად, შეიქმნა დეპარტამენტები, სადაც ბერძენიშვილების რძალი ნინელი კავსაძე დაასაქმა. არა მარტო ეს პიროვნებები, სხვებიც მოჰყავდათ. რა თქმა უნდა, ეს ხალხი სამინისტროდან გასაშვები იყო.

დავით თევზაძის დროს, როდესაც ბიუჯეტი იყო ზუსტად იმდენი, რამდენიც ბატონი იზორიას მივლინებებისთვის არ კმარა, თავდაცვის სამინისტროში შენახული იყო გაცილებით დიდი პირადი შემადგენლობა, სრულად იყო შენარჩუნებული სამხედრო ავიაცია და სამხედრო ფლოტი. დღეს არ გვყავს სამხედრო ავიაცია, არ გვყავს სამხედრო ფლოტი, თუმცა კონტინგენტი საოცრად გაბერილია.

თავდაცვის სამინისტროში თევზაძის დროს მუშაობდა 350 კაცი გენშტაბში. იზორიას დროს 1.500 კაცი მხოლოდ სამოქალაქო პირები მუშაობენ. ჯამში, სულ 2.000 კაცამდეა სამხედრო-სამოქალაქო პირი. ნემსი არ ჩავარდება უზნაძის ქუჩაზე, ისეა გადავსებული პოლიტიკური შემადგენლობით.

რა თქმა უნდა, რეფორმა უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ, არა ისე, როგორც ბატონმა იზორიამ ჩაატარა არაგამჭვირვალედ, რომელსაც მხოლოდ არაპროფესიონალები შეეწირნენ. ისევ მიიღო ბატონმა ლევანმა თავისი ნათესავები სამეგრელოდან.

***– თუ შტატები მცირდება, ახალი ხალხი როგორ მიიღო?***

– დაამატა შტატები, გაზარდა ფუნქციები. მაგალითად, გენინსპექციაში 10-15 შტატი დაამატა, სადაც დანიშნა სამეგრელოდან ჩამოყვანილი პირები. ეს არ იყო სწორი. ასე უდგებიან საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებას. რეფორმა უნდა ჩატარებულიყო გაცილებით გამჭვირვალედ და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, თუ მას რეფორმის ამბიცია აქვს. საერთოდ, თავდაცვის უწყებაში რეფორმა ჩატარდა არაკონსტიტუციურად.

***– რატომ არაკონსტიტუციურად?***

– ის არ იყო შეთანხმებული პარლამენტთან, პარლამენტის მიერ დამტკიცებული შეიარაღებული ძალების კვოტებთან.

ასევე, საერთოდ არ განუხილავთ რეფორმის საკითხი პრეზიდენტთან. პრეზიდენტი მომწონს თუ არა, ის წარმოადგენს ინსტიტუციას. პრეზიდენტი დღეს რომ გამოთქვამს უკმაყოფილებას, რაღაც არ მოსწონს იზორიას ქმედებებში, ვსვამ კითხვას, სად იყო მაშინ, როცა ე.წ. რეფორმა ტარდებოდა. სად იყო ქალბატონი ხიდაშელი, როცა ისიც ანალოგიურს აკეთებდა?! სახელმწიფოებრივი მიდგომები გათიშულია, დარჩენილია მხოლოდ პოლიტიკური მიდგომები, რაც შეიარაღებულ ძალებს ვნებს.

***– პრეზიდენტს, საკონსტიტუციო ცვლილებებით, ჯართან ურთიერთობა მშვიდობიანობის დროს აღარ ექნება. უშიშროების საბჭო უქმდება, ჯარი პრეზიდენტს მხოლოდ ომის პერიოდში დაექვემდებარება, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს.***

– საერთოდ, უმაღლესი მთავარსარდალი სისხლხორცეულად უნდა იყოს დაკავშირებული შეიარაღებულ ძალებთან და სამხედრო უწყებაში განვითარებულ პროცესებთან. ბატონი მარგველაშვილი საერთოდ გამიჯნულია შეიარაღებული ძალებისგან. ის ვერ გრძნობს პასუხისმგებლობას.

***– შეიარაღებული ძალებისაგან გამიჯვნა მარგველაშვილის ბრალია?***

– რა თქმა უნდა, მხოლოდ ბატონი მარგველაშვილის ბრალია. ის არის უმაღლესი მთავარსარდალი და მას ვერავინ აუკრძალავს შეიარაღებულ ძალებთან ურთიერთობას. პრეზიდენტს არ ახსენდება ის დამსახურებული პირადი შემადგენლობა და გენერალიტეტი, რომელიც გადამდგარია და თადარიგშია.

***– როგორ უნდა გაახსენდეს?***

– სულ მცირე, უნდა გაახსენდეს და დაბადების დღე მაინც უნდა მიულოცოს, უნდა დაუძახოს და რჩევები ჰკითხოს. ბატონ მარგველაშვილს, მიუხედავად თავისი დიდი სტატუსისა, იმდენი გამოცდილება არ აქვს, რამდენიც თადარიგში მყოფ პროფესიონალებს აქვთ. ამიტომ არსებული ინტელექტუალური ბაზა უნდა გამოიყენოს, მაგრამ, ეტყობა, მრჩევლები, რომლებიც იქ ჰყავდა, ან სათანადოდ არ აძლევდნენ რჩევებს, ან, თუ აძლევდნენ, მარგველაშვილი არ ითვალისწინებდა.

# თბილისს გერმანიის განვითარების მინისტრი, დოქტორი გერდ მიულერი ეწვევა

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური მინისტრი, დოქტორი გერდ მიულერი საქართველოსა და გერმანიას შორის განვითარების სფეროში თანამშრომლობის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით 15 მაისს თბილისს ესტუმრება.

საქართველოში გერმანიის საელჩოს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში მინისტრი შეხვდება საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს და მასთან განვითარების სფეროში თანამშრომლობის საკითხებს განიხილავს. იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაზე მინისტრი ვიცეპრემიერ კახა კალაძესთან ერთად შეაჯამებს ერთად მიღწეულს.

საქართველოს განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავასთან შეხვედრისას მინისტრი ინფორმაციას მიიღებს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების განხორციელების პროცესებზე, რადგან ეს რეფორმები გერმანული მხარის ხელშეწყობით ხორციელდება. გერდ მიულერის ერთდღიანი ვიზიტი დასრულდება პროფესიულ კოლეჯ „სპექტრის“ დათვალიერებით, რომელთანაც გერმანული მხარე დიდი ხანია თანამშრომლობს.

1992 წლიდან გერმანიის ფედერალურმა მთავრობამ მხოლოდ გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მეშვეობით 820 მილიონი ევრო გამოყო საქართველოსთვის, 2010 წლიდან კი ქვეყანა სამხრეთ კავკასიისთვის ტექნიკური თანამშრომლობის რეგიონალური პროგრამების ფარგლებშიც იღებს სარგებელს (273 მილიონი ევრო სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის).

ნიუსპრესი

# ლაშა ტუღუში: „არ გვინდა ჩვენ ჯიბის პრეზიდენტი“

– ჩვენ გვჭირდება ღირსეული პრეზიდენტი. ნამდვილად არ გვინდა ჯიბის პრეზიდენტი.

ამის შესახებ საკონსტიტუციო კომისიის წევრმა ლაშა ტუღუშმა რუსთავში, საკონსტიტუციო პროექტის საყოველთაო განხილვაზე განაცხადა.

ის დარწმუნებულია, რომ ხალხს შეუძლია აირჩიოს ღირსეული ადამიანი პრეზიდენტის პოსტზე.

– მე ვცდილობ არ ვიყო მკვეთრი. არ არის ახლა საჭირო ვიყოთ მკვეთრი, იმიტომ, რომ ისედაც დაძაბულია ხალხი, ათასი სოციალური პრობლემაა.

მაგრამ ძალიან დიდი საფრთხე არის, რომ ჩვენ ამ ტიპის სისტემით მივიღოთ ჯიბის პრეზიდენტი. არ გვინდა ჩვენ ჯიბის პრეზიდენტი. ჩვენ გვჭირდება ღირსეული პრეზიდენტი.

მე პირადად დარწმუნებული ვარ ჩვენს ხალხს შეუძლია აირჩიოს ღირსეული ადამიანი, გათვალისწინებით ბევრი პრობლემის, ბევრი შეცდომის, რომელიც ჩვენ დავუშვით, მაგრამ ხომ უნდა დავსვათ წერტილი შეცდომების დაშვებაში, ხომ შეიძლება ჩავატაროთ ნორმალური არჩევნები, სადაც ღირსეულ კანდიდატს შევარჩევთ. რატომ უნდა გვეშინოდეს ამისი და რატომ უნდა გვახვევდეს ვინმე თავს, ხომ შეიძლება, ჩვენ თვითონ ავირჩიოთ პრეზიდენტი? – აღნიშნა ტუღუშმა.

ინტერპრესნიუსი

# ნიკარაგუის მედია: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება ძვირად დაგვიჯდება“

დასაწყისი
მე-2 გვერდზე

ექსპერტის თქმით, დანიელ ორტეგას მიერ გატარებულმა საგარეო პოლიტიკამ და მისმა ნაბიჯებმა ნიკარაგუელი ხალხი მძიმე სიტუაციაში ჩააგდო – მისი პოლიტიკა ჯერ კიდევ 1980-იანი წლებიდან ხორციელდება, ცივი ომის პერიოდიდან. ნაცვლად იმისა, რომ პრეზიდენტმა ურთიერთობა განამტკიცოს აშშ-სთან, მის ინტერესს მხოლოდ ისეთი ქვეყნები წარმოადგენენ, როგორებიცაა რუსეთი და ირანი.

რაფაელ კარკამო, საზოგადო მოღვაწე და აქტივისტი, რომელიც პროფესიით ექიმია, მაგრამ კარგად ერკვევა საგარეო-პოლიტიკურ საკითხებში, ამბობს, რომ აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული კანონი დანიელ ორტეგას მთავრობის წინააღმდეგ არის მიმართული.

მისი თქმით, ყველამ იცის იმ ქვეყნების სია, რომლებმაც საქართველოს სეპარატისტული ტერიტორიები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აღიარეს და მათთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარეს – რუსეთი, ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ.

– იმის გამო, რომ ნიკარაგუამ სეპარატისტების დამოუკიდებლობა აღიარა, დონალდ ტრამპის კანონის მოქმედება ჩვენც შეგვეხება, – ამბობს რაფაელ კარკამო.

კერძო მეწარმეობის საბჭოს პრეზიდენტმა ხოსე ადამ აგერმა განაცხადა, რომ მან აშშ-ის საელჩოს სთხოვა, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს კონგრესის მიერ მიღებული ბიუჯეტის კანონის შესახებ, თუმცა მას ჯერჯერობით პასუხი არ მიუღია.

ნიკარაგუის ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის ხელმძღვანელ ვილმა ნუნესის თქმით, პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ, თავისი უპასუხისმგებლო მოქმედებით, აღიარა რა რუსეთის მოკავშირე ორი სეპარატისტული რეგიონი, საკუთარი ქვეყანა ეკონომიკურ იზოლაციაში მოაქცია.

ფაქტია, რომ აშშ-ის კანონის მოქმედება და მის საფუძველზე მიღებული თეთრი სახლის გადაწყვეტილება ნიკარაგუაზეც გავრცელდება.

ნიუსპრესი

# ლაშა ჩხარტიშვილი: „კალაძეს სახლში მივუვარდები“

შორენა მარსაგიშვილი



## „ხელისუფლებამ მთიულეთში საფლავების ამოთხრა დაიწყო“

13 მაისს დაბა ფასანაურის მიმდებარე სოფლებში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. იქაურები უკვე რამდენიმე დღეა, რაც მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობას აპროტესტებენ. პროტესტმა ნაწილობრივ უკვე გამოიღო შედეგი, მაგრამ 13 მაისს დუშეთის რაიონის სოფელ მუგუდაში სასაფლაოს ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკა შეიყვანეს.

ამას მოსახლეობის მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვა. მათ განაცხადეს, რომ სასაფლაოს გადათხრის ნებას არავის მისცემდნენ. მათ საპასუხოდ განცხადება გააკეთა ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილმა და თქვა, რომ ხელისუფლება უკან არ დაიხევს.

ალბათ, ამის დასამტკიცებლად გააგზავნეს სოფელში ნიღბიანი სპეცრაზმელები. მათ მოსახლეობა ალყაში მოაქციეს და მძიმე ტექნიკასთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.

მოსახლეობასთან ერთად სასაფლაოს არასამთავრობოები და ჟურნალისტებიც დარაჯობდნენ. იქ იყვნენ დაბალი რანგის ჩინოსნებიც. ერთ-ერთმა მათგანმა მოსახლეობას პირობა მისცა, თუ საფლავებიდან ძვლები გამოჩნდება, მიწას მივაყრითო. ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ისინი საფლავებს არ ეხებიან.

სხვებთან ერთად სასაფლაოს დაცვას ცდილობდა დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ლაშა ჩხარტიშვილი. ჩხარტიშვილი ხვალ, 16 მაისს, მთიულეთის მოსახლეობასთან ერთად კახა კალაძის სახლთან აპირებს აქციის გამართვას.

რატომ მიიღო მოსახლეობამ ასეთი გადაწყვეტილება, მართლა დაიწყეს თუ არა საფლავების ამოთხრა მუგუდაში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ლაშა ჩხარტიშვილი ესაუბრა.

**ლაშა ჩხარტიშვილი:**

– 16 მაისს მთიულეთის მოსახლეობასთან ერთად კახა კალაძის სახლთან გავმართავთ აქციას. როგორც კალაძე უვარდება მოსახლეობას სახლებში, ასეთივე პასუხს მიიღებს მოსახლეობისგან. რაც დღეს მთიულეთში ხდება, ამის ასე დატოვება არ შეიძლება. რადგან ეს აქცია წინასწარ დავაანონსეთ, არ არის გამორიცხული, კალაძემ სპეცრაზმი დაგვახვედროს. „ქართული ოცნება“ ხალხს ხომ უკვე ნიღბიანების დახმარებითა და ძალის გამოყენებით ესაუბრება.

***– კალაძის სახლთან გამართულ აქციას რა შედეგი ექნება? ენერგეტიკის მინისტრი, დიდი ალბათობით, არც სახლში დაგხვდებათ.***

– კალაძის სახლში ყოფნა აუცილებელი არ არის. უბრალოდ, ეს იქნება ხალხის პასუხი. ხელისუფლება უნდა მიეჩვიოს, რომ ყველა უკანონობაზე აგებს პასუხს. მივარდნაზე მივარდნით ვუპასუხებთ. ვიმოქმედებთ კანონის დაცვით, მაგრამ კალაძეს სამარცხვინო ბოძზე გავაკრავთ. იცოდნენ მისმა მეზობლებმა, რა საშინელებებს ჩადის ეს ადამიანი.

სოფლების გადათხრა არ იკმარეს და ახლა უკვე საფლავებს შეესივნენ. ის, რაც მუგუდაში მოხდა, უპატიებელია.

***– ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ სასაფლაოს არ შეხებიან. მათი განმარტებით, ტექნიკა საფლავებიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მუშაობდა.***

– ამ პროცესს თავიდან ბოლომდე ვადევნებდით თვალს და კარგად ვნახეთ, სად და როგორ მუშაობდა ეს ტექნიკა. ის, რაც მუგუდაში მოხდა, იყო ხალხის გამოწვევა და კალაძე-ელოშვილის პიარი. სპეცრაზმი მათ სოფელში იმიტომ გააგზავნეს, რომ ხალხი დააშინონ. ტრაქტორმა მხოლოდ 30 წუთი იმუშავა. ამით ხალხს აჩვენეს, რომ რასაც უნდათ, იმას გააკეთებენ.

რაც შეეხება საფლავების გადათხრას, დიახ, მათ დაიწყეს საფლავების გადათხრა. მაღალი ძაბვის გადამცემმა ხაზმა ამ სასაფლაოზე უნდა გაიაროს. „ოცნება“ საფლავებისა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ხარჯზე ცდილობს გაზრდილი მადის დაკმაყოფილებას. რაც მთავარია, ეს მშენებლობა უკანონოა.

***– რატომ ფიქრობთ, რომ უკანონოა?***

– მშენებლებს დოკუმენტაცია არ აქვთ და მის წარმოდგენას არც პოლიცია ითხოვს. ამ დოკუმენტაციის რაღაც ნაწილი გამოქვეყნდა, მაგრამ იქ აშკარად ჩანს, რომ პროექტი არასრულფასოვანი დასკვნების შედეგად არის დაწერილი. ამას არც ხელისუფლება უარყოფს. როცა ხანდოს ხევში მშენებლობა შევაჩერებინეთ, თქვეს, რომ დამატებით კვლევებამდე მშენებლობას აჩერებდნენ, მუგუდაში კი 100 სპეცრაზმელი გამოგაგზავნეს, რომ მოსახლეობამ საფლავების დაცვა არ გაბედოს. 13 მაისს მოსახლეობა სპეცრაზმთან შეტაკებას მოერიდა. მათთან ჭიდაობას იმ დღეს აზრი არ ჰქონდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხალხი ხმას არ ამოიღებს. მათ ნათლად თქვეს, რომ საფლავებს არ ამოათხრევინებენ.

***– თავად ნახეთ ამოთხრილი საფლავები?***

– საკუთარი თვალით ვნახე. გადამცემი ხაზი სასაფლაოს ტერიტორიაზე გადის. ეს ხაზი ამ სოფელში მდებარე 2 სალოცავს შორის გაივლის.

ტერიტორიაზე, სადაც მძიმე ტექნიკა მუშაობდა, ისე ალაგია ქვები, რომ იქ აშკარად საფლავებია, ოღონდ – შედარებით ძველი. მოსახლეობა ამბობს, რომ იქ არის აკლდამაც. ეს უნდა დაადგინონ არქეოლოგებმა. არქეოლოგებს იქ სამუშაოები არ ჩაუტარებიათ.

დარწმუნებული ვარ, აქ მხოლოდ კალაძე და ელოშვილი არ არიან. მათ უკან დგას ბიძინა ივანიშვილი. მისი მხარდაჭერის გარეშე ესენი ამდენს ვერ გაბედავდნენ. ჯერ ისიც საკითხავია, საერთოდ რისთვის შენდება მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები. ეჭვი მაქვს, ფულის გათეთრებასთან გვაქვს საქმე.

ამბობენ, რომ ამ გადამცემი ხაზებით რუსეთიდან შემოსული ელექტროენერგია უნდა წავიდეს ირანში. ზოგიერთი სომხეთსა და თურქეთს ასახელებს. არადა, ამის შესახებ ეს ქვეყნები, მგონი, აზრზეც არ არიან. ყოველ შემთხვევაში, მათ ხელი არაფერზე აქვთ მოწერილი და პროექტიც კი არ არსებობს.

ამ ხელისუფლებისგან განსხვავებით, მოსახლეობა სახელმწიფოებრივად აზროვნებს და ამბობს, რომ ქვეყანას თუ სჭირდება, ეს პროექტი უნდა განხორციელდეს. უბრალოდ, ისინი ითხოვენ, მაღალი ძაბვის ხაზებმა ალტერნატიული მარშრუტით გაიაროს. ალტერნატიული მარშრუტებიც არსებობს და თავისუფლად შეიძლება ამ ხაზების დაუსახლებელ ტერიტორიებზე გატარება.

საუბარია 500-კილოვოლტიან ხაზებზე, რომლებსაც სერიოზული ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ როგორც გარემოზე, ასევე ადამიანის ჯანმრთელობაზე.

***– ილია ელოშვილი ამბობს, რომ ეს ხაზები მოსახლეობისთვის სახიფათო არ არის.***

– ელოშვილი საერთოდ საოცარი მოვლენაა. ეს ადამიანი საკუთარ თავს სახელმწიფოს უწოდებს. ასეთი ამბიცია ივანიშვილს აქვს მხოლოდ, მაგრამ ისიც კი არ ამბობს ამას ხმამაღლა.

რაც შეეხება ელოშვილის მოსაზრებას, კვლევები საპირისპიროს ამტკიცებს. სახიფათო თუ არ არის, წარმოადგინონ ამის დამამტკიცებელი საბუთები. მოსახლეობას, იცით, რა უთხრეს? სახურავზე დააყენებთ სპეციალურ ეკრანებს და თქვენს ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქრებაო.

***– მართლა არსებობს ასეთი ეკრანები?***

– არაფერი არ არსებობს. ეს ცინიზმი და ტყუილია. ასეთი ეკრანები რომც დააყენონ სახურავებზე, მეწყრებს რას უზამენ? ტერიტორია, რომელსაც ახლა კალაძე-ელოშვილის ურდოები შეესივნენ, მეწყრული ზონაა. წლების წინ აქ მეწყერმა მთელი სოფელი დამარხა.

ხელისუფლებას არც ქვათა ცვენა ადარდებს. ეს პროცესი ძალიან თვალსაჩინოა. ყველა ტელევიზიამ აჩვენა, სამუშაოები ქვების ცვენის ფონზე როგორ მიმდინარეობს.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო იმ რეკომენდაციების შესახებაც, რომლებსაც მოსახლეობას აძლევენ მათი ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში. ეუბნებიან, ასეთ დროს შეგიძლიათ, სასამართლოში იჩივლოთო.

ეს რეკომენდაცია ძალიან მაგონებს კახა ბენდუქიძის პოზიციას. წლების წინ მან სააკაშვილთან ერთად გადაწყვიტა, სურსათის უვნებლობის მონიტორინგი გაეუქმებინა. მაშინ ბენდუქიძემ გვითხრა, რომ თუ მოვიწამლებოდით, შეგვეძლო, გვეჩივლა, თუ დავიღუპებოდით, მოწამლულის ოჯახის წევრები იჩივლებდნენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ ხაზებისა და ჰესების მშენებლობაში ერთად არიან ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები. მათ შევარდნაძის დროინდელი ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავაც შეუერთდა.

ისინი ივანიშვილის თამადობით მზად არიან, მთელი ქვეყანა გადათხარონ. ერთი მხრივ, რუსეთს აქვს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული, მეორე მხრივ, ოლიგარქიული კორუფცია ახდენს ტერიტორიების ოკუპაციას. რუსების მიერ ოკუპირებულ მიწას დავიბრუნებთ, მაგრამ გადათხრილ და დამეწყრილ ბუნებას ვეღარ ვუშველით.

# „წვეთი კუპრი“ პრემიერ კვირიკაშვილისათვის აშშ-ში წარმატებული ვიზიტის ფონზე

„ნეზავისიმაია გაზეთას“ მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია საქართველოში, ტყიბულის ქვანახშირის მაღაროში მომხდარი ავარია, რომელმაც ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია და ამ ავარიასთან დაკავშირებული მოვლენები. საუბარია აგრეთვე შრომის დაცვის კანონმდებლობის დაცვის მდგომარეობის შესახებ (ავტორი – იური როქსი).

– ტყიბულის ქვანახშირის მაღაროში მომხდარმა ავარიამ, რომელმაც 4 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, მკვეთრად აჩვენა, თუ რა მძიმე მდგომარეობაა ქართულ კანონმდებლობაში შრომის უსაფრთხოების დაცვის მხრივ, – წერს ავტორი და აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის ცვლილებების პროექტში, რომლის განხილვა ამჟამად მიმდინარეობს, კარგი იქნებოდა, რომ ეს საკითხიც დარეგულირებულიყო.

ავარიის ფაქტმა ქვეყნის მოსახლეობა ააღელვა, რამდენიმე ახალგაზრდა ადამიანმა (ჯგუფ „აუდიტორია-115“-დან) საპროტესტო აქციაც გამართა, თუმცა პოლიციამ მათი მოქმედება სწრაფად აღკვეთა. გარდა ამისა, სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა ერთობ მწვავედ შეაფასა სიტუაცია და განაცხადა, რომ ხელისუფლება მკვლელის როლს ასრულებს.

ოპოზიციაც, ბუნებრივია, ავარიასა და მასთან დაკავშირებულ მოვლენებში მთავრობას ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მხარს უჭერს საპროტესტო აქციის მონაწილეებს. ოპოზიციის აზრით, პოლიციამ მათ მიმართ გადაჭარბებული ძალა გამოიყენა. პოლიცია კი განმარტავს, რომ აქციის მონაწილეებს ქუჩის გადაკეტვა სურდათ, რაც დაუშვებელია.

როგორც ჩანს, ერთი მხრივ, პოლიციამ ბათუმის მოვლენებიდან დასკვნა გამოიტანა და აქციის დასაწყისშივე აქტიურად იმოქმედა, თუმცა არსებობდა რისკი იმისა, რომ წესრიგის დამცველებს ძალის არაადეკვატურ გამოყენებას დაბრალებდნენ. მეორე მხრივ, თბილისური წყაროების ინფორმაციით, „აუდიტორია-115“-ის პროტესტი ზოგადად სამართლიანია, თუმცა მათი ზოგიერთი მოქმედება კითხვებს იწვევს. მაგალითად, ისინი ამბობენ, რომ ხელისუფლებას ავარიის შედეგების სალიკვიდაციოდ არაფერი გაუკეთებიაო, მაგრამ ცნობილია, რომ მთავრობა მოქმედებდა ისე, როგორც უნდა ემოქმედა ტექნოლოგიური ავარიების დროს: შემთხვევის ადგილზე მოხდა მაშველთა მობილიზება, იქვე მივიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, დაზარალებულთა ოჯახებს დახმარება აღუთქვეს და ა.შ. თუმცა ახალგაზრდებმა მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არასაკმარისად ჩათვალეს და მთავრობას თანამოქალაქეთა ბედის „ფეხებზე დაკიდება“ დააბრალეს.

თბილისში სიტუაცია გარკვეულ მომენტში იმ დონემდე დაიძაბა, რომ სახელმწიფოს პირველი პირების განცხადებები გახდა საჭირო. პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აქციის მონაწილეებს დამშვიდებისაკენ თავისი რეზიდენციიდან მოუწოდა, ხოლო პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა – ვაშინგტონიდან, სადაც იგი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა.

– ქართულ პოლიტიკურ წრეებში პრემიერის ვიზიტი ზეწარმატებულად შეფასდა: გიორგი კვირიკაშვილი შეხვდა პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, სახელმწიფო მდივან რექს ტილერსონსა და კონგრესის ცნობილ წევრებს. ამგვარ (ზეწარმატებულ) შეფასებას იზიარებს საქართველოს პრეზიდენტიც და ოპოზიციის ის ნაწილიც (სხვათა შორის, პირველად!), რომელიც ყოველთვის ცდილობს, ხელისუფლების საქმიანობა ნეგატიურად წარმოაჩინოს. თუმცა პრემიერისათვის ტყიბულში მომხდარმა ცუდმა ამბავმა „ერთი წვეთი კუპრის“ როლი შეასრულა: ისევ დაიწყო ლაპარაკი შიდა არაკეთილისმსურველებზე, რომლებშიც, რასაკვირველია, მაღაროელთა დაღუპვა კი არა, ახალგაზრდების საპროტესტო გამოსვლა იგულისხმება, – წერს ავტორი.

ნიუსპრესი

# „ოთარ ფარცხალაძემ სილა ირაკლი კობახიძესაც გაანნა“

შორენა მარსაგიშვილი

## ზვიად კუპრავა: „ამ ქვეყანაში კანონი დამთავრდა“

*რას ნიშნავს მთავარ აუდიტორზე თავდასხმა, ვისი უფლებებია ქვეყანაში დაცული, ვინ არის რეალურად მთავარი პროკურორი, რატომ არ იძიებენ გახმაურებულ საქმეებს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.*

***– ყოფილი მთავარი პროკურორის ოთარ ფარცხალაძის მიერ გენერალური აუდიტორის ლაშა თორდიას ცემის ფაქტზე რას იტყვით? დეპუტატებსა და ყოფილ მინისტრებზე თავდასხმები ლამის ჩვეულებრივ ამბად იქცა, მაგრამ ამხელა რანგის თანამდებობის პირს თავს ჯერ არ დასხმიან.***

– ლაშა თორდია გახლავთ იმ სამსახურის უფროსი, რომელსაც კანონით ყველა უწყების შემოწმება ევალება. ეს სამსახური და ლაშა თორდია მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. როცა ასეთი მაღალი რანგის მოხელეს თავს ესხმიან და თავდამსხმელი დღემდე არ არის დაკავებული, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში კანონი აღარ არსებობს.

როცა მთავარ აუდიტს ასე სასტიკად უსწორდებიან, იქ ქვეყანაში როგორ შეიძლება, ვინმეს უფლება დაცული იყოს. დღეს საქართველოში მხოლოდ ის ადამიანები არიან დაცული, რომლებიც ბიძინა ივანიშვილთან და ბერასთან მეგობრობენ. სხვა დანარჩენებს ნებისმიერ დროს შეიძლება თავს დაესხან და ანგარიში გაუსწორონ.

ექიმების განცხადებით, ლაშა თორდია საკმაოდ მძიმედ არის ნაცემი. რამდენიმე დღის განმავლობაში გამომძიებლებს მისი დაკითხვის უფლებაც კი არ მისცეს. თორდია აუცილებლად უნდა მოენახულებინათ მთავრობის წევრებსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. იმ მომენტისთვის, როცა ამ ინტერვიუს გაძლევთ, მთავარი აუდიტორი არც ირაკლი კობახიძეს მოუნახულებია და არც გიორგი კვირიკაშვილს.

***– ირაკლი კობახიძემ მომხდარი ფაქტი დაგმო.***

– მას უფრო მკაცრი განცხადება უნდა გაეკეთებინა. თორდია მხოლოდ პარლამენტის წინაშეა ანგარიშვალდებული. აქედან გამომდინარე, ირაკლი კობახიძე ბევრად მკაცრი უნდა ყოფილიყო. ოთარ ფარცხალაძემ თორდიაზე თავდასხმით მასაც და სხვა დეპუტატებსაც გააწნა სილა.

დეპუტატებსაც უნდა გამოეხატათ შეშფოთება, მაგრამ ამის ნაცვლად მათგან უცნაური შეფასებები მოვისმინე. ლევან გოგიჩაიშვილმა განაცხადა, თორდია მამა აბრამის ბატკანი არ ყოფილაო. მე არ ვამტკიცებ, რომ ლაშა თორდია მამა აბრამის ბატკანია. ის აუდიტის სამსახურის უფროსად „ქართულმა ოცნებამ“ დანიშნა. თუ ის მამა აბრამის ბატკანი არ იყო, რატომ აირჩიეს ამ მნიშვნელოვან თანამდებობაზე? თუ დანიშვნის შემდეგ ჩაიდინა რაიმე უკანონობა, გამოძიება დაიწყე. ოთარ ფარცხალაძემ რაც გააკეთა, იმას არანაირი გამართლება არა აქვს. ვერც ამართლებენ, მაგრამ ვერც პასუხისგებაში მისცემენ.

***– პასუხისგებაში რატომ ვერ მისცემენ?***

– იმიტომ, რომ დღეს მთავარი პროკურორი, ფაქტობრივად, ის არის. თანამდებობიდან ბიძინა ივანიშვილიც წავიდა, მაგრამ რეალურად ის მართავს ქვეყანას. ასევეა მთავარ პროკურატურაშიც.

ოთარ ფარცხალაძემ თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც გაირკვა, რომ ის ბოტასის ქურდობისთვის იყო დაკავებული გერმანიაში. ამ სკანდალის შემდეგ ის მთავარ პროკურორად ვერ დარჩებოდა. თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ მთავარი პროკურორი დღეს ისევ ის არის.

არც ის არის ახალი ამბავი, რომ ირაკლი შოთაძე, რომელიც მთავარი პროკურორია, ფიქრის გორაზე მიდის ფარცხალაძესთან ოფისში და მითითებებს იღებს.

***– რა მითითებებს იღებს ფარცხალაძისგან შოთაძე?***

– რა საქმე გაგრძელდეს, რა დაიხუროს და ა.შ. იმ მითითებებს იძლევა, რომლებიც საგამოძიებო სამსახურის უფროსმა უნდა გასცეს.

ფარცხალაძესთან დაკავშირებით ყოფილმა დეპუტატმა გივი თარგამაძემ საინტერესო ინფორმაცია გამოაქვეყნა. მისი ინფორმაციით, ფაქტობრივი მთავარი პროკურორი გადაადგილდება ფინანსური სამსახურის ბალანსზე არსებული მანქანით, რომელიც ამ უწყებამ 500.000 ლარად შეიძინა.

მაინტერესებს, ჯერ რა საჭირო იყო ასეთი ძვირადღირებული ავტომობილის შეძენა, მაგრამ, თუ მაინც იყიდეს, რატომ დადის ამ მანქანით პირი, რომელიც ოფიციალურად ჩვეულებრივი მოქალაქეა?! წესით, ამ საქმეზეც უნდა დაიწყოს გამოძიება, მაგრამ, მეეჭვება, ამაზეც მოსთხოვონ პასუხი.

***– თორდიასთან მის დაპირისპირებაზე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. თქვენი აზრით, რა მოხდა?***

– ლაშა თორდია ისეთ სამსახურს ხელმძღვანელობს, რომ ის ჩინოსნების უმეტესობას არ მოსწონს. მას დარღვევების გამოვლენას კანონი ავალდებულებს. ესეც ასრულებს თავის საქმეს. ვიღაც უკმაყოფილოა, მაგრამ მასზე თავდასხმა თავში აზრადაც კი არავის მოსვლია. ასეთი შემთხვევები არც წინა ხელისუფლებების დროს ხდებოდა. ფარცხალაძემ გადაწყვიტა, ბანდიტურად გაესწორებინა ანგარიში.

გენერალური აუდიტორის თქმით, მან ყოფილ მთავარ პროკურორზე მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვა. ამ ფაქტების გასაჯაროებას ის ამ დღეებში აპირებდა. ეს ინფორმაცია ოთარ ფარცხალაძის ყურამდე მივიდა. ეყოლება აუდიტის სამსახურში თავისი ხალხი.

აუდიტის სამსახურის უფროსს სასამართლოში ვერ უჩივლებდა, რატომ სწავლობ ჩემს საქმესო და ფიზიკურად გაუსწორდა. თორდია ამ მასალებს გაასაჯაროებს, მაგრამ ფარცხალაძეს არც ამაზე მოსთხოვენ პასუხს. არ მოსთხოვენ პასუხს და ხვალ ის, შესაძლოა, ირაკლი კობახიძესაც დაესხას თავს. არც ეს იქნება მისთვის რაიმე პრობლემა.

***– პარლამენტის თავმჯდომარეს რატომ უნდა დაესხას თავს?***

– აუდიტის სამსახურის მსგავსად, პარლამენტსაც მაკონტროლებლის ფუნქცია აკისრია. მათაც შეიძლება, რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევა აღმოაჩინონ და, ფარცხალაძეს თუ არ მოეწონება ეს ამბავი, კობახიძესაც გაუსწორებს ანგარიშს. აღარაფერს ვამბობ რიგით დეპუტატებზე.

თორდიაზე თავდასხმას ბევრი უარყოფითი შეფასება მოჰყვა. არ არის გამორიცხული, ფარცხალაძემ ყველას ჩამოუაროს, ჩემი ჩათვლით და თავისი ზონდერებით ხულიგნურად დაგვესხას თავს.

ზონდერები ამ ხელისუფლებას მრავლად ჰყავს. კახა კალაძის ზონდერებმა კორცხელში რაც ჩაიდინეს, ყველამ ვნახეთ. არჩევნების დღეს მათ ამომრჩევლები და პარლამენტის წევრები სასტიკად ცემეს. ეს საქმე დღემდე ბოლომდე გამოძიებული არ არის.

რამდენიმე კვირის წინ ნიღბიანი ზონდერები დაესხნენ თავს გელა ხვედელიძესაც. შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრზე თავდასხმა დღემდე არ არის გამოძიებული.

გამოძიებული არ არის არც ნუგზარ წიკლაურზე მომხდარი თავდასხმა. არადა, თავდამსხმელები იდენტიფიცირებული არიან. არც ჩემზე მომხდარი თავდასხმაა გამოძიებული.

***– ტელეკომპანია პირველში მომხდარ ინციდენტს გულისხმობთ, რომელიც შარშან მოხდა?***

– მაგ თავდასხმაზე ვსაუბრობ. ტელეკომპანიიდან გამოსულს, სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე დამხვდა თავის ზონდერებთან ერთად და ჩემზე ჯგუფური თავდასხმა მოახდინეს. პროკურატურამ ყველა მათგანის ვინაობა იცის, მაგრამ ეს ფაქტი დღემდე გამოუძიებელია.

ეს გამოუძიებელი საქმეები იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებს შეუძლიათ, სცემონ ყველას, ვინც არ მოეწონებათ, იქნება ეს ჟურნალისტი, არასამთავრობოს წარმომადგენელი თუ პოლიტიკოსი. პოლიტიკოსებზე როცა ვსაუბრობ, ოპოზიციონერებს ვგულისხმობ. თუმცა, თუ ივანიშვილს მოუნდება, ხელისუფლების წარმომადგენლების ცემაც შეიძლება. ზონდერები თითქმის ყველას ჰყავს.

ამის შემდეგ თავისუფლად შემიძლია ვთქვა, რომ ამ ქვეყანაში კანონი დამთავრდა. ძალადობა წახალისებულია და ამ ქვეყანაში არავინ არის დაცული.

იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ კრიმინალები უკვე ავტომატებით დადიან ქუჩებში. საშინელი სიტუაცია შეიქმნა. არსებული ვითარება ძალიან მაგონებს ფილმ „ბანდიტურ პეტერბურგს“. ჩვენ ასევე ვბრუნდებით გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა მხოლოდ რამდენიმე ადამიანი იყო დაცული. ახლაც ასეა. ივანიშვილთან დაახლოებული ხალხის გარდა, ყველას უნდა ეშინოდეს.

იმედი მაქვს, აუდიტის სამსახურის უფროსზე თავდასხმა ასე არ ჩაივლის. წესით, ოპოზიციას უკვე ერთი ამბავი უნდა აეტეხა. ეს ისეთი ფაქტია, რომელზეც მთელი ქვეყანა უნდა ზანზარებდეს.

# როგორია რუსეთის რბილი ძალა საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი

## ამერიკელი ექსპერტი: „რუსეთის რბილმა ძალამ მის მოსაზღვრე ქვეყნებზეც მოახდინა გავლენა“



სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების თანახმად, საქართველოში რუსეთისა და ევრაზიული კავშირის მომხრეების რაოდენობა მცირდება, რუსული პროპაგანდა კი ისევ შეინიშნება.

რამდენიმე თვის წინ ბალტიისპირელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ რუსეთი, ღია აგრესიის პარალელურად, გააძლიერებს რბილი ძალის გამოყენებას საქართველოში. ჩვენთან ამ ტერმინს ხშირად არ იყენებენ, თუმცა მუდმივად საუბრობენ მომძლავრებულ რუსულ პროპაგანდაზე.

ამერიკელი ექსპერტი ჯოზეფ ნეი განმარტავს, რას მიიჩნევს რუსეთი რბილ ძალად და როგორ იყენებს ეს სახელმწიფო მას სხვადასხვა ქვეყანაში.

მისი შეფასებით, რუსეთის ჩარევა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში და, სავარაუდოდ, საფრანგეთის არჩევნებში, არ გამოიწვევს გაკვირვებას, თუ გავიხსენებთ პუტინის შეხედულებას რბილ ძალაზე. რუსეთის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ რბილი ძალა ინსტრუმენტებისა და მეთოდების კომპლექსია საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად იარაღის გამოუყენებლად, ზემოქმედებისთვის საინფორმაციო და სხვა ბერკეტების გამოყენებით.

საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში რბილი ძალის გამოყენების იდეა რუსეთმა 2013 წელს ჩართო. 2016 წელს რუსეთის გენშტაბის უფროსმა ვალერი გერასიმოვმა აღიარა, რომ ნებისმიერ საგარეო საფრთხეზე პასუხი ტრადიციული სამხედრო მეთოდებით შეუძლებელია და მათ ჰიბრიდული მეთოდებით უნდა დაუპირისპირდე.

ჯოზეფ ნეის სიტყვებით, კრემლისთვის ფერადი რევოლუციები და არაბული გაზაფხულის აჯანყებები ამერიკული რბილი ძალის გამოყენების ნიმუშებია.

მისი განმარტებით, რბილ ძალას უწოდებენ ზემოქმედების არასამხედრო მეთოდებს. ეს ზუსტი არ არის – რბილი ძალა არის უნარი, მიიღოთ ის, რაც გსურთ, მიმზიდველობითა და დარწმუნებით და არა – მუქარითა და გადახდის შეთავაზებით.

ამის მაგალითად გამოდგება მოკლული ტერორისტი ოსამა ბენ ლადენი. მას არ გამოუყენებია მუქარა და ფული იმისთვის, რომ სხვებს შეეჯახებინათ თვითმფრინავები მსოფლიო სავაჭრო ცენტრის შენობებისთვის 2001 წლის სექტემბერში. ბენ ლადენმა ისინი იდეებით მოხიბლა, რათა მათ ბოროტება ჩაედინათ.

რას ეყრდნობა რუსეთი?

ჯოზეფ ნეის თქმით, რუსეთი თავის რბილ ძალას აგებს ტრადიციონალიზმის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის, ნაციონალური ექსკლუზიურობის ბაზაზე. ამან იმოქმედა ზოგიერთ ქვეყანაზე. მაგალითად, უნგრეთზე, რომლის პრემიერი არალიბერალური დემოკრატიის მომხრეა, ასევე, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში მცხოვრებ დიასპორებზე, აზიის გაღარიბებულ სახელმწიფოებსა და დასავლეთ ევროპის პოპულისტურ მიმდინარეობებზე.

რუსეთი ერევა ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკაში, რათა შეამციროს ნატოს მიმზიდველობა.

კრემლი გაიწაფა ცრუ ინფორმაციების გავრცელებაში. ამ ხერხს საბჭოთა დროსაც იყენებდნენ, ახლა კი ამის გაკეთება უფრო იაფია. ამისთვის გამოიყენება სოციალური ქსელები.

ექსპერტის დასკვნით, საერთაშორისო პოლიტიკა თამაშს ემსგავსება – დიდი კონკურენციაა ნდობის მოპოვებაზე.

საქართველო აგრძელებს ევროატლანტიკურ სვლას. ბოლო დროს დასავლეთმა მკაფიო მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ქართველი ანალიტიკოსების ნაწილის აზრით, ამის შედეგად რუსეთის აგრესია საქართველოში შენელდება, ნაწილი კი მიიჩნევს, რომ გაღიზიანებული რუსეთი საქართველოში უფრო მეტ ღია პროვოკაციაზე წავა.

რბილ ძალას რუსეთი ნებისმიერ შემთხვევაში გამოიყენებს.

# საქართველოში 1 მილიარდი დოლარის კაპიტალის მქონე ჩინური ბანკი გაიხსნება

საქართველოს განვითარების ბანკის დაფუძნების შესახებ დეკლარაციის ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია გაიმართა გუშინ, 14 მაისს, ჩინეთის დედაქალაქ პეკინში, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო ფორუმი „ერთი სარტყელი – ერთი გზა საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“.

ახალი ბანკის გაცხადებული კაპიტალი 1 მლრდ აშშ დოლარი, ხოლო შევსებული კაპიტალი 300 მლნ აშშ დოლარი იქნება.

ბანკის დამფუძნებლები არიან ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური კორპორაცია „CEFC China Energy Company Limited“-ი და კომპანია „Eurasian Invest LLC“.

დეკლარაციას საქართველოს მხრიდან ხელი პირველმა ვიცეპრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მოაწერა.

დეკლარაციის თანახმად, ორივე კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ საქართველოში ახალ კომერციულ ბანკს შექმნიან. დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, მათ უკვე მიმართეს საქართველოს ეროვნულ ბანკს იმისათვის, რომ დაიწყოს შესაბამისი განხილვების ოფიციალური პროცედურები.

– ჩვენი საბანკო სისტემისათვის და ეკონომიკის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია კონკურენცია საბანკო სექტორში, – განაცხადა პირველმა ბ-მა ქუმსიშვილმა დეკლარაციაზე ხელმოწერის შემდეგ.

მისი თქმით, საქართველოში კიდევ ერთი დიდი ბანკის მხრიდან მუშაობის დაწყება მნიშვნელოვანია კერძო სექტორის განვითარებისთვის.

# ილია წულაია: „ბანკი მეწარმის კონკურენტი არ უნდა იყოს“

საბანკო სექტორიდან არაპროფილური ბიზნესის გამიჯვნის საკანონმდებლო დონეზე დარეგულირების ინიციატორი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ილია წულაია რეგულაციების მიღებას რამდენიმე კვირაში აანონსებს.

როგორც დეპუტატი „საქმის კურსთან“ განმარტავს, აღნიშნულთან დაკავშირებით რეგულაციებს უკვე ამზადებს საქართველოს ეროვნული ბანკი.

– კონსულტაციებს ვაგრძელებთ ბიზნესთან, მთავრობასთან, სებთან და ბანკებთან. რეგულაციების მიღების მხარდამჭერი ბიზნესწრეებისა და ბანკების წარმომადგენლების დიდი უმრავლესობაა. საბოლოო ჯამში, კონსენსუსის საფუძველზე მოხდება ამ რეგულაციების მიღება. მე ვფიქრობ, ეს მოხდება მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში, – აცხადებს ილია წულაია.

მისი თქმით, რეგულაციების მიღების მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ბანკს არ ჰქონდეს შესაძლებლობა, ირიბადაც ფლობდეს არაპროფილურ აქტივებს.

– ბანკი უნდა იყოს ბიზნესის პარტნიორი. ბიზნესი ბანკს აღიქვამს კონკურენტად და ეს არის არაჯანსაღი სიტუაცია. ჩვენ გვინდა, რომ ბევრი მეწარმე ბანკში იღებდეს კრედიტს, აფართოებდეს წარმოებას. ეს არის ჩვენი ამოცანა, იყოს ჯანსაღი სიტუაცია და მეწარმეს არ ჰქონდეს განცდა, როცა ბანკში მიდის სესხის ასაღებად, რომ ის მიდის კონკურენტთან, – აცხადებს ილია წულაია.

**ელენე გოგბერაშვილი,**
**ბიზნესპრესნიუსი**

# კობა გვენეტაძე: „ქართული საბანკო ბაზარი აბსოლუტურად გახსნილია“

– მე ვერ ვიტყვი, რამდენი ბანკი იქნება საქართველოში. ქართული საბანკო ბაზარი ამ მიმართულებით აბსოლუტურად გახსნილია.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა კობა გვენეტაძემ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ განაცხადა.

მისივე თქმით, კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის 12 მლნ ლარიდან 50 მლნ ლარამდე გაზრდა აუცილებელი ნაბიჯია საქართველოს საბანკო სისტემის შემდგომი განვითარების გზაზე.

– საკმაოდ ხშირი კომენტარები გაკეთდა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ბანკი უნდა იყოს საქართველოში, არავითარ შემთხვევაში არ ვეთანხმები საკითხის ასეთ დასმას. მე ვერ ვიტყვი რამდენი ბანკი იქნება, ეს იქნება 6, 10, 17, 18 თუ 25. ქართული საბანკო ბაზარი არის აბსოლუტურად გახსნილი ამ მიმართულებით.

მოგეხსენებათ, რომ საბანკო დაწესებულებები არიან კერძო მფლობელობაში. საბედნიეროდ, ძალიან კარგია, რომ ქვეყანაში არ გვაქვს სახელმწიფო ბანკი და ყველას, ვისაც უნდა ძლიერი ბანკით, ძლიერი კაპიტალით მოსვლა საქართველოში, ბაზარზე შეუძლია შემოვიდეს და დაიწყოს მუშაობა, – განაცხადა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით არის სხვადასხვა წინადადებებიც, ბევრ ინვესტორს უნდა კიდეც ამის გაკეთება.

– მთავარია, რამდენად ძლიერია ბანკი, რამდენად სტაბილურია იგი და რამდენად უწყობს ხელს სისტემის სტაბილურობას. ჩვენ გვაქვს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნები და ეს ასე გაგრძელდება. საბანკო სისტემის მაჩვენებლები, სტაბილურობა და მდგრადობა საკმაოდ მაღალია, – აღნიშნა გვენეტაძემ.

ეროვნული ბანკი აქტიურად მუშაობს იმ საკანონმდებლო პროექტზე, რომელიც კომერციულ ბანკებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას შეეხება.

– მიკროსაფინანსო და საკრედიტო კავშირები რეგისტრირებულნი არიან ეროვნულ ბანკში, ეროვნული ბანკის უფლებები კი მინიმალური და ფორმალურია. ამიტომ შევიმუშავეთ პაკეტი მთელი რიგი ცვლილებებისა, რომლებიც უკვე განხილვის სტადიაშია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები უნდა არსებობდნენ, ისინი უნდა იყვნენ მძლავრი ორგანიზაციები, მათ აქვთ თავიანთი ნიშა და ჰყავთ თავიანთი კლიენტები. საკანონმდებლო პროექტი კი ხელს შეუწყობს ამ სექტორის დინამიკურობას.

საკანონმდებლო პაკეტში შევიტანეთ საერთაშორისო გამოცდილება, გარდა ამისა, სპეციალური დახმარების მისია გვყავდა სავალუტო ფონდიდან. მისია გაეცნო პაკეტს და მოგვაწოდა რეკომენდაციები. გვინდა, შევქმნათ ისეთი რეგულაციები, რომლებიც დაეხმარებიან მომხმარებლებს.

ხშირად აკრიტიკებენ რეგულაციებს. ძალიან ბევრი რეგულაცია არ არის კარგი, მაგრამ მისი არარსებობა ძალიან ცუდია. დერეგულირების პოლიტიკის შედეგად უკვე ვნახეთ, რაც მოხდა 2008-2009 წლებში შეერთებულ შტატებში, სადაც ფინანსური კრიზისი დაიწყო, – განაცხადა კობა გვენეტაძემ.

# ქართველ არალეგალებს საბერძნეთში საცხოვრებელი ადგილის დაკანონება გაუმარტივდებათ

საბერძნეთში არალეგალურად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების ლეგალიზაციის ხელშესაწყობად ქართული და ბერძნული მხარეები კოორდინირებულად მუშაობაზე შეთანხმდნენ.

მარტის ბოლოს „იმიგრაციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, ქართველ არალეგალებს საბერძნეთში საცხოვრებელი ადგილის დაკანონება გაუმარტივდებათ.

საბერძნეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ დოკუმენტების სია გაეზარდა, რომლის თანახმადაც, მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეებს ბინადრობის მოწმობის მიღების შესაძლებლობა ექნებათ.

თემის დეტალებით „საქმიან დილასთან“ საქართველოს ელჩი საბერძნეთში იოსებ ნანობაშვილი საუბრობს.

– რას იტყვით აღნიშნულთან დაკავშირებით?

– აქ უკანონოდ მყოფი მოქალაქე მოკლებულია სოციალურ საკითხებს, საბანკო ანგარიშებს, ჯანდაცვას და ა.შ. რა თქმა უნდა, საჭირო იყო მეგობრული და თბილი ფონის შექმნა, რომ ამ ტაბუ დადებულ თემას შევხებოდით.

მიმდინარე წელს, საბერძნეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, მიგრაციის პოლიტიკის მინისტრთან ჩვენ ამ საკითხის ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვეტაზე შევთანხმდით. ეს შეხვედრა 24 აპრილს გაიმართა და 9 მაისს უკვე კონკრეტული პასუხისმგებელი პირი გამოიყო, რომელიც საელჩოსთან აღნიშნულ საკითხზე იმუშავებს.

16 მაისს საელჩო პირველი თემატური ჯგუფის შეხვედრას მართავს და ამაში ათენში მოქმედი ქართველი იურისტები ჩაერთვებიან, რომლებსაც საბერძნეთის კანონმდებლობასთან მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება აქვთ.

შეხვედრას ორი მიზანი აქვს. ერთია საემიგრაციო კანონში შესული ცვლილებების თავმოყრა, გასაგებ ენაზე ინტერპრეტაცია და ბერძნულ მხარესთან შეთანხმება. ამ ჯგუფმა გზამკვლევი უნდა შეიმუშაოს აღნიშნული ახალი ინიციატივის მიხედვით, რომელიც ბერძნულ მხარეს უნდა მივაწოდოთ და მას შემდეგ, რაც ეს საკანონმდებლო ინიციატივები ახალ შესაძლებლობებს გახსნის საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომ ლეგალიზება დაიკანონოს.

შემდეგ უკვე ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ეს საკითხები ბერძნულ-ქართული ურთიერთობების დღის წესრიგის მუდმივი თემა გახდეს და ისევე გადაიჭრას ბერძნულ მხარესთან, როგორც ყველა დანარჩენი.

# ირაკლი კობახიძე: „მიწის საკითხზე ძალიან აქტიურად ვმუშაობთ“

– მიწის საკითხი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რომელზეც ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ.

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ რუსთავში, კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

ირაკლი კობახიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მიწის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კონსტიტუციას შესაბამისი ჩანაწერი ემატება. ამასთან, მზადდება სპეციალური კანონიც.

– დაისვა უამრავი კითხვა, მათ შორის, კრიტიკული კითხვები. იყო უამრავი საკითხი, რომელიც აწუხებს მოსახლეობას, საზოგადოებას. თქვენ აღნიშნეთ მიწის საკითხი – ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რაზეც ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ.

შესაბამისი ჩანაწერი ემატება საქართველოს კონსტიტუციასაც და, გარდა ამისა, მზადდება სპეციალური კანონი, რომლითაც მოხდება ამ საკითხის რეგლამენტაცია, ისე, რომ იყოს დაცული ჩვენი როგორც ეკონომიკური ინტერესები, ისე ეროვნული, სუვერენული ინტერესები, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

**ინტერპრესნიუსი**

# თავისუფლების მოედანზე 20-მილიონიანი ბუტიკ-სასტუმრო იქნება

თავისუფლების მოედანზე 20 მილიონი დოლარის ღირებულების ბუტიკ-სასტუმრო გაიხსნება.

პროექტს სამშენებლო კომპანია ველ ჰაუსი ახორციელებს. „საქმის კურსთან“ საუბრისას კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი ღვინაძე ამბობს, რომ სასტუმრო 40-ნომრიანი იქნება.

საშუალო და მაღალ სეგმენტზე გათვლილი სასტუმრო მომდევნო წლის მაისში ან ივნისში გაიხსნება. ამჟამად ადგილზე შიდა სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს.

გიორგი ღვინაძე ამბობს, რომ იგეგმებოდა, სასტუმროს სახელწოდება „პლაზა დე ლიბერტე“ ყოფილიყო, თუმცა, სახელზე ჩამოყალიბებული ჯერ არ არიან. რაც შეეხება სასტუმროს მართვას, სამშენებლო კომპანია ამას თავად განახორციელებს, თუმცა დასახმარებლად სპეციალისტებს მოიწვევს.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**ბიზნესპრესნიუსი**

# ლევან გოგიჩაიშვილი: „საქართველოდან ონლაინკაზინოების საერთაშორისო სერვერებზე 200 მლნ დოლარი გაედინება“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი „პალიტრანიუსის“ გადაცემა „360 გრადუსში“ ონლაინკაზინოებსა და ტოტალიზატორებზე საუბრობს და აცხადებს, რომ საერთაშორისო საიტების მეშვეობით, სადაც ქართველი მომხმარებლები აზარტულ თამაშებს თამაშობენ, ქვეყნიდან დაახლოებით 200 მილიონი დოლარი გაედინება ისე, რომ ქვეყნის ბიუჯეტში არაფერი რჩება.

– რამდენიმე ათეული დოლარი დაუბეგრავად, ისე, რომ ერთი თეთრი არ რჩება ამის შედეგად საქართველოში, გაედინება საერთაშორისო სერვერებზე, იმ სერვერებზე, სადაც ადამიანები უცხოურ საიტებზე შედიან, თამაშობენ და ეს ფული, ასე აღებული, დაახლოებით 200 მილიონი დოლარია. ამ ფულს ვიღებთ და სხვადასხვა ქვეყნის კომპანიებში მიდის ისე, რომ ერთი თეთრი არ რჩება ამ ქვეყანაში, – განაცხადა ლევან გოგიჩაიშვილმა.

# ლაშა თორდია: „ოთარ ფარცხალაძემ დამარტყა ხელი, რასაც მისი გარემოცვის მხრიდანაც მოჰყვა თავდასხმა“

## „მას თუ ჰგონია, რომ ამით რაღაც შიშს დანერგავს და ვიღაცა რაღაცას გადაასწორებს, ძალიან ცდება“

12 მაისს, ღამით, აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელ ლაშა თორდიას თავს დაესხნენ.

თავდასხმა შარდენის ქუჩაზე, ერთ-ერთ კაფეში მოხდა.

– ლაშა თორდიას თავს დაესხა ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე თავის დაცვასთან ერთად, – განაცხადეს აუდიტის სამსახურის პრესცენტრში.

ლაშა თორდია კლინიკაში გადაიყვანეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელზე განხორციელებულ თავდასხმაზე გამოძიება 126-ე მუხლით დაიწყო.

აღნიშნული მუხლი ცემას ან სხვაგვარი ძალადობას გულისხმობს, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია.

13 მაისს ლაშა თორდიამ თავდასხმის დეტალები მედიას აცნობა.

მან აღნიშნა, რომ ყოფილ მთავარ პროკურორს კაფე „ელ ცენტროში“ შეხვდა, რომლის დროსაც ფარცხალაძე მის მიმართ აგრესიული იყო. გენერალური აუდიტორის ინფორმაციით, ყოფილი მთავარი პროკურორის აგრესია ერთ-ერთმა საქმემ გამოიწვია, რომელშიც ოთარ ფარცხალაძე ფიგურირებს.

– შეხვედრის დროს აგრესიული ტონით მითხრა, რატომ ვაგროვებდი მასზე კომპრომატებს, ასევე როგორ ვაპირებდი ცხოვრების გაგრძელებას ვადის გასვლის შემდგომ. ვუპასუხე, რომ ასე ესაუბრა მასთან, ვისთანაც ამის საშუალება ჰქონდა.

ამ დროს ზედმეტი აგრესია გამოხატა და დამარტყა ხელი, რასაც მისი თანმხლები პირების მხრიდანაც მოჰყვა თავდასხმა. ეს არის პირადი ანგარიშსწორება, რომელიც კონკრეტულ საქმეს ეხება, სადაც მისი სახელი და გვარი ფიგურირებს. ადამიანს აქვს სრული დაუსჯელობის განცდა, ვინაიდან ამ კლუბში ძალიან ბევრი ადამიანი იმყოფებოდა და ამ ადამიანების თვალწინ მოხდა ეს ყველაფერი, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

როგორც გენერალურმა აუდიტორმა აღნიშნა, საზოგადოება 15 მაისს გაიგებს კონკრეტულ საქმეზე ინფორმაციას.

– მას თუ ჰგონია, რომ ამით რაღაც შიშს დანერგავს და ვიღაც რაღაცას გადაასწორებს, ძალიან ცდება. ორშაბათს კონკრეტულ ინფორმაციას მიიღებთ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, თუ რაზეა საუბარი, – განაცხადა თორდიამ.

13 მაისს საღამოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელმა მასზე თავდასხმის დეტალებზე გადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში“ ისაუბრა.

მისი თქმით, საქმე ეხება ყოფილი მთავარი პროკურორის კუთვნილი სამშენებლო კომპანიისთვის თბილისის მერიიდან მიწის ნაკვეთების გადაცემას, ასევე ფარცხალაძისთვის აუქციონის გზით მიწის გადაცემას და მისი კომპანიისთვის სპეციალური პირობების შექმნას. აღნიშნულ საქმეს აუდიტის სამსახური სწავლობს.

თორდიას თქმით, ამ ეტაპზე ეს იყო ნეპოტიზმი, რომლის ირგვლივაც ბევრი კითხვის ნიშანია.

– ეს დასკვნა გახდება საჯარო. შეუძლებელია, ამ დასკვნაში რაიმე მნიშვნელოვანი შეიცვალოს. ამ ფირმას, რომლის მფლობელია ფარცხალაძე, რბილად რომ ვთქვათ, კარგი პირობები აქვს, რომელიც სხვა კომპანიებს არ გააჩნიათ, – განაცხადა ლაშა თორდიამ.

### რა მოხდა კაფე „ელ ცენტროში“

მისი აზრით, მის თავდასხმაზე დაწყებული გამოძიების კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს.

– ალბათ, მომავალში კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს. ეს არის წმინდა სამსახურებრივი სამუშაოსთან დაკავშირებული პრეცედენტი, – განაცხადა თორდიამ.

* * *

გუშინ, 14 მაისს, პროკურატურის წარმომადგენლები ალადაშვილის კლინიკაში ლაშა თორდიას გამოკითხვის მიზნით მივიდნენ.

პროკურატურის გამომძიებელმა ზაზა დათუაშვილმა თავს შეიკავა დაკონკრეტებისგან, არის თუ არა დაკითხული ყოფილი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე და შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია თუ არა ვიდეოკამერის ჩანაწერები,

აღნიშნულ კითხვასთან დაკავშირებით პროკურორმა ჟურნალისტებს მხოლოდ ის განუცხადა, რომ მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიების ეტაპზე სათანადო მოქმედებები განხორციელდება.

მოგვიანებით ლაშა თორდიას გამოკითხვა შეწყდა. მიზეზი პაციენტის არტერიული წნევის მატება გახდა.

თორდიას მეუღლის, მაია ირემაშვილის ინფორმაციით, პროკურორებმა დაკითხვა ექიმის რჩევის გათვალისწინებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო შეწყვიტეს.

მისივე თქმით, დაკითხვა, 15 მაისს გაგრძელდება.

მაია ირემაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლაშა თორდია მზად არის გამოძიებასთან თანამშრომლობისთვის.

# 77 წლის მოხუცის მკვლელობა მის შვილიშვილს, მარიამ კუპრეიშვილს, ედება ბრალად

## ადვოკატი: „წერილში გარდაცვლილზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა“

ბუდაპეშტის ქუჩაზე აპრილში მომხდარი საზარელი მკვლელობის შესახებ დამატებითი ინფორმაცია გახდა ცნობილი.

გამოძიების ინფორმაციით, 77 წლის ბაბუა 19 წლის მარიამ კუპრეიშვილმა თანაკურსელ გიორგი გვარამიას დახმარებით მოკლა.

13 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ორივე მათგანის მიმართ აღკვეთის ღონისძიებაზე იმსჯელა. პროკურატურამ ორივე მათგანის მიმართ პატიმრობა ითხოვა. ბრალდებულებმა დუმილის უფლება გამოიყენეს.

– დუმილის უფლებას იყენებს, საქმის მასალები სულ ახლახან გადაეცა სახაზინო ადვოკატს. როგორც ვიცი, კუპრეიშვილი და გვარამია არიან კურსელები, შვილიშვილი მივიდა პაპასთან და მიიყვანა მეგობარი. ბრალდების დადგენილებაში მოტივი არ წერია, – განაცხადა გვარამიას ადვოკატმა ბონდო ბათიაშვილმა.

მარიამ კუპრეიშვილის ადვოკატ გიორგი ბერიძეს სასამართლო სხდომის დაწყებამდე ვრცელი კომენტარი არ გაუკეთებია.

მისი თქმით, კუპრეიშვილს დანაშაული არ ჩაუდენია.

77 წლის მამაკაცი თბილისში 9 აპრილს ცივი იარაღით მოკლეს. გამოძიების ინფორმაციით, დაკავებულებმა მკვლელობის შემდეგ კვალის დაფარვის მიზნით, ბინაში ცეცხლი გააჩინეს.

ბრალდებულებმა მკვლელობის ადგილიდან 300 ლარი და ძვირფასეულობა წაიღეს.

მკვლელობის გახსნის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ 13 მაისს გაავრცელა.

უწყების ინფორმაციით, დაკავებულებმა დანაშაული ანგარების მოტივით ჩაიდინეს. გამოძიება დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, 77 წლის ბაბუის მკვლელობაში ბრალდებულ შვილიშვილსა და მის მეგობარს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ.

მკვლელობის საქმის პროკურორი ინა გუგუშვილი აცხადებს, რომ ბრალდებულებმა მოხუცი ანგარების მიზნით მოკლეს, რადგან 200 ათასი დოლარი ეგულებოდათ, რომელიც ერთ-ერთი მათგანის სწავლის გადასახდელად სურდათ, თუმცა სახლიდან მხოლოდ 335 ლარია წაღებული.

ბრალდების მხარის ერთ-ერთ მტკიცებულებას წარმოადგენს წერილი, რომელიც, პროკურორის თქმით, ბრალდებულის მიერ არის დაწერილი. პროკურორმა წერილის შინაარსი არ გაასაჯაროვა.

* * *

77 წლის მოხუცის მკვლელობის საქმეში ერთ-ერთი ბრალდებულების ადვოკატი ბონდო ბათიაშვილი აცხადებს, რომ

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობასთან თანხვედრაში არ არის.

მისი თქმით, „პროკურატურა აცხადებს, რომ ბრალდებულებს სახლში 200.000 დოლარი ეგულებოდათ, ამ დროს კი ედავებიან უნივერსიტეტის სწავლის საფასურის, 335 ლარის წაღებას“.

ადვოკატის განცხადებით, ბრალდებულები ადვოკატის გარეშე დაიკითხნენ.

– ბრალდებულები ადვოკატის გარეშე დაიკითხნენ და აღიარეს დანაშაული, მაგრამ საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში, მათი ჩვენება ვერ მოდის თანხვედრაში.

ჩვენებაში ბრალდებულები აცხადებენ, რომ იყვნენ პაპასთან ასულები, სულ სხვა სიტუაციასა და გარემოებაში, აღნიშნავენ, რომ მათ მკვლელობა არ ჰქონდათ დაგეგმილი. მათი იქ ყოფნის პერიოდში მოხდა თუ არა მკვლელობა, ეგ გამოძიებით არ არის დადგენილი, – განაცხადა გიორგი გვარამიას ადვოკატმა.

მისივე თქმით, მტკიცებულებებით მკვლელობის წინასწარ განზრახვაც არ ჩანს.

– პროკურატურამ წარმოადგინა წერილობით სახით მტკიცებულება, რომ თითქოსდა წინასწარ ჰქონდათ განზრახული მკვლელობა. აღნიშნული მტკიცებულებით საერთოდ არ ირკვევა, რომ ვიღაცის მოკვლა სურდათ და მკვლელობა იგეგმებოდა.

წერილის შინაარსთან დაკავშირებით ვერ გესაუბრებით, ეს არის პირადი ცხოვრების ამსახველი მიმოწერა, თუმცა ამ წერილში გარდაცვლილზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა, – განაცხადა ბონდო ბათიაშვილმა.

## ოზურგეთში მამაკაცმა მეზობელი სანადირო თოფით მოკლა

მკვლელობა მოხდა 13 მაისს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მაკვანეთში.

მეზობლებს შორის დაწყებული სიტყვიერი დაპირისპირება, ფიზიკურში გადაიზარდა და მკვლელობით დასრულდა.

მეზობელმა 50 წლამდე მეზობელი სანადირო თოფით მოკლა.

ფაქტი „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

უწყების ინფორმაციით ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლითაა აღძრული, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

## ხულოში საცხოვრებელი სახლი დაიწვა

სოფელ ვაშლოვანში მელაძეების საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

დაზარალებულების თქმით, ხანძრის დროს საცხოვრებელ სახლში მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ, თუმცა მათი გამოყვანა დროულად მოხერხდა.

გამოძიება სსკ 188-ე მუხლით დაიწყო, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გაუფრთხილებლობით გულისხმობს.

## პანამის გემი ფოთში ზღვის დაბინძურებისთვის 65.000 ლარით დაჯარიმდება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენლებთან ერთად, გემის მიერ საქართველოს ტერიტორიული წყლების დაბინძურების ფაქტი გამოავლინეს.

სასაზღვრო პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, პანამის დროშის ქვეშ მცურავმა გემმა ფოთის ნავსადგურში ფეკალური წყლები ჩაღვარა.

გემის კაპიტანს საჯარიმო სანქცია 65.000 ლარის ოდენობით დააკისრეს, რასაც დაემატა გარემოსთვის მიყენებული ზიანის თანხა.

გემი საქართველოს ტერიტორიულ წყლებს დაკისრებული საჯარიმო სანქციების გადახდის შემდეგ დატოვებს.

# ბორის ჯონსონი: „პუტინს ბრიტანეთის არჩევნებში ჩარევა სურს!“

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა ჟურნალისტებთან საუბარში ხაზი გაუსვა, რომ პუტინი სუკში გამოზრდილი პოლიტიკოსია, შესაბამისად, იყენებს იმას, რაც სხვისთვის აკრძალულ ილეთად ითვლება.

– აქედან გამომდინარე, რუსეთის პრეზიდენტი სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში აქტიურად ერევა, – თქვა ჯონსონმა.

ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ყურადღება გაამახვილა თავისი რუსი კოლეგის სერგეი ლავროვის უკანასკნელ ინტერვიუზე. მასში ლავროვმა ფრიად გაბედული პროგნოზი გააკეთა: დიდი ბრიტანეთი უკვე ევროკავშირის წევრი აღარ არის, შესაბამისად, რუსეთის წინააღმდეგ სანქციებსაც გააუქმებს.

– მოვლენების ამ სცენარით განვითარება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ბრიტანეთის ხელისუფლებაში ლეიბორისტები მოვლენ, – ამბობს ჯონსონი.

გამომდინარე აქედან, ჯონსონი შესაძლებად მიიჩნევს, რომ მოსკოვი მისი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩაერევა და შეეცდება, ხელისუფლებაში კრემლისთვის მისაღები ან მეტ-ნაკლებად მისაღები ძალები მოიყვანოს.

დღეისთვის პუტინისთვის მთავარია სანქციების გაუქმება და ყირიმის რუსეთის ნაწილად აღიარება.

– ყირიმს რუსეთის ნაწილად არცერთი მეტ-ნაკლებად რეალური ბრიტანული ძალა არ აღიარებს. რაც შეეხება სანქციებს, აქ რამდენიმე ნიუანსი არსებობს, – ამბობს ჯონსონი.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ბრიტანეთში მართლაც არიან პოლიტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ რუსეთის ბაზარი მათთვის მნიშვნელოვანია. შესაბამისად, სანქციები ბრიტანულ ეკონომიკას ზიანს აყენებს. გამოითქმება ფრიად ექსტრავაგანტური მოსაზრებებიც, აქაოდა, რუსეთმა თავის დროზე ლენინგრადის ბლოკადას გაუძლო, სანქციებსაც როგორმე გადაიტანსო.

ჯონსონმა ასეთ მოსაზრებებს სისულელე უწოდა.

– რუსეთმა მეორე მსოფლიო ომში აშშ-ის დახმარების შედეგად გაიმარჯვა. დღეს გვაქვს სრულიად საპირისპირო სიტუაცია, როცა რუსეთი დემოკრატიულ მსოფლიოს უპირისპირდება! – ამბობს ჯონსონი.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, გჯერათ თუ არა, რომ რუსეთი აშშ-ის არჩევნებში ჩაერია, ჯონსონმა დადებითი პასუხი გასცა და დაამატა, რომ რუსეთი დიდი ბრიტანეთის, აგრეთვე სხვა ქვეყნების არჩევნებშიც ჩაერევა და ხელისუფლებაში თავისთვის მისაღები ფიგურების მოყვანას შეეცდება.

– ამიტომ დღეს დემოკრატიული სამყარო, როგორც არასოდეს, კონსოლიდირებული უნდა იყოს, – აცხადებს ჯონსონი.

# ტრამპი: „ამერიკული ეკონომიკა მზარდია“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ გასულ წელს აშშ-ში 211.000 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

– ეს იმას ნიშნავს, რომ ამერიკული ეკონომიკა მზარდია! – განაცხადა პრეზიდენტმა.

ტრამპმა ხაზი გაუსვა, რომ მისი მიზანია კიდევ უფრო მეტი ახალი სამუშაო ადგილის შექმნა და მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლება.

– დღეს ჩვენ ჩვენს ისტორიაში ყველაზე დაბალი უმუშევრობა გაგვაჩნია, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს! ჩემი მიზანი უმუშევრობის კიდევ უფრო შემცირებაა, – ამბობს ტრამპი.

# პროშენკო: „რუსეთ-უკრაინის გაყრის პროცესი დასრულდა“

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ განაცხადა, რომ უკანასკნელ ხანს მისმა ქვეყანამ დიპლომატიურ ფრონტზე მაქსიმალურ შედეგებს მიაღწია.

უკრაინამ ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი მიიღო; აშშ-ის ბიუჯეტში უკრაინის დასახმარებლად ნახევარი მილიარდი დოლარი გამოიყო; უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ კლიმკინისა და პრეზიდენტ ტრამპის შეხვედრის შემდეგ რეალურად გამოიკვეთა უკრაინა-აშშ-ის თანამშრომლობის გაფართოების კონტურები.

პოროშენკომ ხაზი გაუსვა, რომ ამით რუსეთ-უკრაინის გაყრის პროცესი დასრულდა. უკრაინა თავის სახლში ანუ ევროპაში ბრუნდება და ამას უკვე ვერავინ შეაჩერებს.

– რასაკვირველია, საბოლოო გამარჯვებამდე შორია. რუსეთი ყოველნაირად შეეცდება, ჩვენი ევროინტეგრაცია ჩაშალოს. უკრაინასაც წინ უდიდესი ბრძოლები ელის, მაგრამ ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! – ამბობს პოროშენკო.

# ასადის არმიამ ავიაბაზა დაიკავა

სირიაში ბრძოლები გრძელდება. დიქტატორ ასადის არმიამ ალეპოს მახლობლად მდებარე ჯარახის ავიაბაზა დაიკავა.

ავიაბაზას აქამდე ისლამური სახელმწიფოს მებრძოლები აკონტროლებდნენ.

# კატასტროფა თურქეთში

თურქეთის ქალაქ მარმარისთან ავტოკატასტროფა მოხდა. გადაბრუნდა ავტობუსი, რომლის მძღოლმა გზის ყველაზე საშიშ უბანზე მართვა დაკარგა.

დაიღუპა 23 ადამიანი, 13 დაშავდა.

დაღუპულები თურქეთის მოქალაქეები არიან. მათ შორის არ არის არცერთი უცხოელი ტურისტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# მაკრონი პრეზიდენტობას შეუდგა

გუშინ, 14 მაისს, ემანუელ მაკრონი საფრანგეთის პრეზიდენტის ფუნქციის შესრულებას შეუდგა. ფრანსუა ოლანდმა მას ხელისუფლება ოფიციალურად გადააბარა და ელისეს სასახლე დატოვა.

ემანუელ მაკრონმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ საკუთარ მანდატს საფრანგეთის საერთაშორისო პოზიციის აღდგენისთვის გამოიყენებს.

– საფრანგეთი წარმატებულია მაშინ, როდესაც ის ყვავის. საფრანგეთი იქნება მისაბაძი მთელი მსოფლიოსთვის, თუ სამაგალითო იქნება. ფრანგ ხალხს მომავლის წყურვილსა და მათი წარმომავლობის გამო სიამაყეს დავუბრუნებთ, – აღნიშნა ქვეყნის ახალმა პრეზიდენტმა.

ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ საფრანგეთის სიტყვას მთელი მსოფლიო მიაქცევს ყურადღებას.

– ჩვენ ერთად დავამარცხებთ შიშს, ერთად ვიქნებით სამაგალითო იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც სურთ, დაიცვან საკუთარი ღირებულებები, პრინციპები, დემოკრატია და რესპუბლიკა. მსოფლიოს სჭირდება ის, რასაც ფრანგები მათ ყოველთვის ასწავლიდნენ. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში საფრანგეთს საკუთარ ძალებში ეჭვი შეეპარა. თუმცა მსოფლიოსა და ევროპას საფრანგეთი სჭირდება ისე, როგორც არასდროს. ჩემს მანდატს გამოვიყენებ საფრანგეთისთვის თვითრწმენის დაბრუნებისთვის, – აღნიშნა ემანუელ მაკრონმა.

საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია ელისეს სასახლეში გაიმართა.

## ჯალეიდოსკოპი

### მადონამ შიშველი სელფი გამოაქვეყნა

სახელგანთქმულმა ამერიკელმა მომღერალმა, 58 წლის მადონამ, სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სელფი, რომელზეც ის დედიშობილა პოზირებს. ამ ფოტომ დღეისთვის 67 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

მადონამ ეროტიკული კადრი თავის ავტოპორტრეტთან ერთად ატვირთა, რომელზეც მისი კბილები ოქროთია დამშვენებული. სულ მომღერლის გვერდს სოციალურ ქსელში 9,3 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

### კორეელმა ბარმენმა სახელი ყავაზე სურათების გაკეთებით გაითქვა

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულში მცხოვრებმა ბარმენმა ინსტაგრამში პოპულარობის მოხვეჭა მას შემდეგ მოახერხა, როდესაც მასში ყავის ქაფზე მის მიერ შესრულებული ნახატების ფოტოსურათების გამოქვეყნება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მის გვერდს სოციალურ ქსელში 72 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

კანბინ ლიკაფეში მუშაობს. ის ყავის ქაფზე ცნობილი მხატვრების ნამუშევრებს გამოსახავს, ასევე – ცხოველებსა და პეიზაჟებს. დაწესებულების თანამშრომლის სურათები სოციალურ ქსელში ექვსი ათასამდე მოწონებას იღებს.

### ბრიტნი სპირსს საკუთარი სპორტული ფიგურა ეამაყება

ამერიკელმა მომღერალმა ბრიტნი სპირსმა სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სპორტულ დარბაზში გადაღებული ფოტოსურათი.

აღნიშნულ ფოტოზე ცნობილმა მომღერალმა საკუთარი ფიზიკური ფორმის დემონსტრირება მოახდინა.

– დარბაზში დავბრუნდი. ვარჯიში და სირბილი დაუსრულებლად, – დაწერა სპირსმა ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში.

სულ მუსიკის ვარსკვლავის გვერდს ინსტაგრამში 16,6 მილიონი ხელმომწერი ჰყავს. აღნიშნულმა ფოტომ კი უკვე 404 ათასზე მეტი მოწონება დაიმსახურა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# განცხადებები

## გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

## მკურნალობა

.● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# კოლხეთის გასაჭირი — სათადარიგოთა სკამზე მხოლოდ მეკარე ზის

**კოლხეთი-ტორპედო 0:3**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

0:1,0:2 კაპანაძე (28, 44),0;3 ვ.კილასონია (53სკ)

**კოლხეთი 1913:** სიკაჩი, გ.კილასონია, კერძევაძე, კაკულია, ლუკავა, დაფე, ჯანელიძე, კორობკა, ბოლქვაძე, ვ.კილასონია, ბუხაიძე

**ტორპედო:** რ.კვასხვაძე, ხურცილავა, ჭიჭინაძე, გურული, ქიმაძე, მამასახლისი, გიგაური, დოლიძე (საღრიშვილი 58), ტაბატაძე, გ.კუხიანიძე (ფურცხვანიძე 65), კაპანაძე (ს.კუხიანიძე 82)

მატჩს მეტოქეები დიდი საკადრო პრობლემებით შეხვდნენ. ორივე გუნდს ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციის გამო რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდა. კოლხთა ბანაკში ვითარება იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ სათადარიგოთა შორის ერთადერთი მოთამაშე და ისიც მეკარე ირიცხებოდა. ცხადია, აღნიშნულის გამო მწვრთნელებს სათამაშო სქემებში გარკვეული კორექტივების შეტანა მოუხდათ.

საწყისი 20 წუთი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, შემდეგ კი ტორპედოელთა უპირატესობა გამოიკვეთა. მათ მეთოდურად შეუტიეს მეტოქეს და შედეგიც მალე მოიმკეს. 28-ე წუთზე მერაბ გიგაურმა კარგი გადაცემა გაუკეთა მარჯვენა ფლანგზე დავით ხურცილავას, რომელმაც კოლხთა საჯარიმოში ჩაადოდა და 11-მეტრიანის ნიშნულთან მყოფმა თორნიკე კაპანაძემ ულამაზესი გოლი გაიტანა – ვარდნაში, ნახევარბრუნში შეუჩერებლივ დაარტყა და უშანსოდ დატოვა კოლხთა კიპერი.

დაწინაურებულმა ტორპედომ კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა. გატანის ყველაზე რეალური შანსი გიორგი ქიმაძეს ჰქონდა, როდესაც კაპანაძემ კართან ახლო თავით დაუგდო მას ბურთი, დარტყმამაც არ დაახანა, თუმცა სტეფან სიკაჩმა იყო ჩაღა. თუმცა, ტაიმის მიწურულს ტორპედომ მაინც გაზარდა ანგარიში: გიგაურმა მარჯვნიდან ფოთელთა კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, სიკაჩმა ახლოს მოიგერია და დამატებაზე კაპანაძემ დუბლი გაიფორმა.

ფოთელთაგან პირველ ტაიმში გიორგი ბუხაიძეს შეეძლო თავის გამოჩენა, თუმცა ქუთაისელთა კართან სახიფათო ეპიზოდი კუთხურით დასრულდა.

თამაშის განახლების შემდეგ ზღვისპირელთა კარში მე-3 ბურთი გავიდა: გიორგი კუხიანიძის დარტყმული კოლხმა ვარლამ კილასონიამ საკუთარ კარში ჩაჭრა. ამის შემდეგ ფოთელები ბევრს ეცადნენ ერთი ბურთი მაინც გაექვითათ, ოღონდ ამაოდ. ტორპედომ ეროვნულ ლიგაში პირველად მოიგო დიდი ანგარიშით.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 11 | 9 | 0 | 2 | 22-4 | 27 |
| 2.ტორპედო | 12 | 6 | 4 | 2 | 16-9 | 22 |
| 3.ლოკომოტივი | 12 | 6 | 3 | 3 | 26-13 | 21 |
| 4.სამტრედია | 11 | 6 | 2 | 3 | 12-10 | 20 |
| 5.საბურთალო | 12 | 6 | 1 | 5 | 16-13 | 19 |
| 6.დილა | 11 | 3 | 5 | 3 | 13-12 | 14 |
| 7.ჩიხურა | 11 | 4 | 1 | 6 | 12-17 | 13 |
| 8.დინამო (ბთ) | 11 | 4 | 0 | 7 | 10-14 | 12 |
| 9.კოლხეთი | 12 | 3 | 1 | 8 | 13-24 | 10 |
| 10.შუქურა | 11 | 0 | 3 | 8 | 5-29 | 3 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე – 11 ბურთი; მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი) – 8; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 7; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) – 6.

# იუვენტუსმა ბენატია გადაიბირა და თვალი კოსტას დაადგა

**დასაწყისი მე-12 გვერდზე**

როგორც ჩანს, ამ გარემოებამ ბრაზილიელი ფეხბურთელი გააღიზიანა და უკმაყოფილება ღიად რამდენჯერმე გამოთქვა, ერთ-ერთ ინტერვიუში კი განაცხადა იმის შესახებაც, რომ მისთვის ამჟამინდელი კლუბის შეცვლა გამორიცხული სულაც არ არის.

ფეხბურთელის მხრიდან ასეთი განცხადების შემდეგ სპორტულმა გამოცემებმა ბრაზილიელი არაერთ კლუბს დაუკავშირეს, ერთ-ერთი ვერსიით, მისი მსურველი პრემიერლიგაში მოასპარეზე იურგენ კლოპის ლივერპულია. თუმცა, ბაიერნის პრეზიდენტმა ული ჰაინესმა, უბრალოდ, სპეკულაციები უწოდა.

დუგლას კოსტა დონეცკის შახტარიდან რეკორდმაისტერს 2015 წლის 1 ივლისს შეუერთდა 30 მილიონი ევროს სანაცვლოდ და მასთან 5-წლიანი კონტრაქტი გაფორმდა. მისი დებიუტი ბაიერნში კი 2015 წლის 1 აგვისტოს სუპერთასის მატჩში შედგა ვოლფსბურგის წინააღმდეგ.

# ქართველი წყალბურთელები ევროფინალში იოლად გავიდნენ

საქართველოს 17-წლამდე წყალბურთელთა ნაკრებმა თბილისში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი იოლად მოიგო და ფინალურ ეტაპზე თამაში გაინაღდა.

ქართველმა წყალბურთელებმა საწყის ტურებში შვეიცარიასა (10:3) და კვიპროსს (26:4) დამაჯერებლად მოუგეს. შემდეგ ჩვენი გუნდის პირისპირ უმთავრეს კონკურენტად მიჩნეული საფრანგეთი დადგა, მაგრამ ბრძოლა არ შედგა: ჩვენებმა მეტოქეს მხოლოდ 1 გოლის გატანის საშუალება მისცა და საბოლოოდ, 7:1 იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს 10-17 სექტემბერს მალტა უმასპინძლებს.

# ხამესი მანჩესტერში გადადის

გავრცელებული ხმებით, მადრიდის რეალის ნახევარმცველი ხამეს როდრიგესი მანჩესტერ იუნაიტედს ტრანსფერზე უკვე შეუთანხმდა და მომდევნო სეზონიდან „ოლდ ტრაფორდზე“ იასპარეზებს.

როდრიგესს რეალში სათამაშო პრაქტიკის მხრივ არცთუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს, რადგან ზინედინ ზიდანი მას არც ისე სწყალობს და იშვიათად აძლევს თამაშის საშუალებას.

25 წლის ფეხბურთელი აგენტი ჟორჟე მენდეშია, რომელიც ასევე მოურინიოს ინტერესებს იცავს და კლუბში გავლენიანი პიროვნებაა. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, რეალის ფეხბურთელის ბედს ფლორენტინო პერესი გადაწყვეტს.

მანჩესტერ იუნაიტედმა რეალის ფორვარდის, ალვარო მორატას თაობაზე შეთავაზება გააკეთა. ზლატან იბრაჰიმოვიჩის უმძიმესი ტრავმა და უეინ რუნის გაურკვეველი პერსპექტივები „წითლების“ მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს ზაფხულში მინიმუმ ერთი თავდამსხმელის შეძენას აიძულებს.

აქამდე „ოლდ ტრაფორდს“ სულაც ანტუან გრიზმანსა (ატლეტიკო) და რომელუ ლუკაკუს (ევერტონი) უკავშირებენ, მაგრამ ინგლისური მედია ამტკიცებს, რომ იუნაიტედი კიდევ ერთ სამიზნეზე – მორატაზე მუშაობს.

ცნობილი ხდება, რომ იუნაიტედმა 24 წლის ესპანელის წარმომადგენლებთან უკვე დაამყარა კონტაქტი, მაგრამ მოლაპარაკებები მხოლოდ ადრეულ სტადიაზე იმყოფება. თავად ფეხბურთელი კი მთლიანად სეზონის დასრულებაზე და რეალისთვის ბოლო 4 წელიწადში მესამე ჩემპიონთა ლიგის ფინალზეა კონცენტრირებული, რომელში მონაწილეობაც გარანტირებული არ აქვს.

მორატა რეალს გასულ ზაფხულს შეუერთდა ხელახლა მას შემდეგ, რაც იუვენტუსში 2 სეზონი გაატარა. მშობლიურ კლუბში უფრო გაწაფულ ფეხბურთელად დაბრუნებულმა მორატამ ვერაფრით მოახერხა სასტარტო შემადგენლობაში თავის დამკვიდრება და ეს მის იმედგაცრუებას იწვევს.

მიმდინარე სეზონში ალვარომ მხოლოდ 18 მატჩი ჩაატარა (სულ 40) სასტარტო შემადგენლობაში, მაგრამ მაინც მოახერხა 20 გოლის გატანა. მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუს აქვს რეალის რიგებში გატანილი უფრო მეტი გოლი.

სამაგიეროდ, მანჩესტერიდან რეალში უნდა წავიდეს დავიდ დე ხეა, რომელიც მანჩესტერში თავის მდიდრულ სახლს ყიდის, რითაც კიდევ უფრო ძლიერდება ჭორები იმის შესახებ, რომ იუნაიტედიდან წასვლას აპირებს.

მან 3.85 მილიონი გირვანქა სტერლინგის უძრავი ქონება ბაზარზე გაიტანა. რეალი სულ უფრო აქტიურად ცდილობს მის გადაბირებას და მზად არის 60 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. თუ შეთანხმება შედგება, ეს იქნება მეკარეში გადახდილი უდიდესი თანხა. აქამდე რეკორდულია 2001 წელს იუვენტუსის მიერ პარმასთვის ჯიჯი ბუფონის ტრანსფერში მიცემული 32.7 მილიონი.

დე ხეა სერ ალექს ფერგიუსონის შემდეგ მანჩესტერ იუნაიტედის გული და სულია და მისი წასვლა ფანებისთვის დიდი დარტყმა იქნება. მიუხედავად იმისა, რომ მოურინიო უარყოფს დე ხეასა და რეალს შორის რაიმე შეთანხმების არსებობას, მორიგ სატრანსფერო ბაზარზე ეს თემა კვლავ აქტუალური გახდება.

## შედეგები

### 13 მაისი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| სიტი-ლესტერი | 2:1 |
| ბორნმუთი-ბარნლი | 2:1 |
| მიდლსბრო-საუთჰემპტონი | 1:2 |
| სანდერლენდი-სუონსი | 0:2 |
| სტოკი-არსენალი | 1:4 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 36 | 28 | 3 | 5 | 76-29 | 87 |
| 2.ტოტენჰემი | 35 | 23 | 8 | 4 | 71-23 | 77 |
| 3.სიტი | 36 | 21 | 9 | 6 | 72-38 | 72 |
| 4.ლივერპული | 36 | 20 | 10 | 6 | 71-42 | 70 |
| 5.არსენალი | 36 | 21 | 6 | 9 | 72-43 | 69 |
| 6.მანჩესტერი | 35 | 17 | 14 | 4 | 51-27 | 65 |
| 7.ევერტონი | 37 | 17 | 10 | 10 | 61-41 | 61 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 36 | 12 | 9 | 15 | 41-46 | 45 |
| 9.საუთჰემპტონი | 36 | 12 | 9 | 15 | 41-47 | 45 |
| 10.ბორნმუთი | 37 | 12 | 9 | 16 | 54-66 | 45 |
| 11.ლესტერი | 36 | 12 | 7 | 17 | 46-56 | 43 |
| 12.ვესტ ჰემი | 36 | 11 | 9 | 16 | 45-59 | 42 |
| 13.სტოკი | 37 | 10 | 11 | 16 | 40-56 | 41 |
| 14.ბარნლი | 37 | 11 | 7 | 19 | 38-53 | 40 |
| 15.უოტფორდი | 36 | 11 | 7 | 18 | 37-59 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 36 | 11 | 5 | 20 | 46-61 | 38 |
| 17.სუონსი | 37 | 11 | 5 | 21 | 43-69 | 38 |
| 18.ჰალი | 36 | 9 | 7 | 20 | 36-69 | 34 |
| 19.მიდლსბრო | 37 | 5 | 13 | 19 | 27-50 | 28 |
| 20.სანდერლენდი | 36 | 6 | 6 | 24 | 28-62 | 24 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ფულემი-რედინგი | 1:1 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ესპანიოლი-ვალენსია | 0:1 |
| ოსასუნა-გრანადა | 2:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 36 | 26 | 6 | 4 | 108-34 | 84 |
| 2.რეალი | 35 | 26 | 6 | 3 | 96-39 | 84 |
| 3.ატლეტიკო | 36 | 22 | 8 | 6 | 66-25 | 74 |
| 4.სევილია | 36 | 20 | 9 | 7 | 63-45 | 69 |
| 5.ვილიარეალი | 36 | 18 | 9 | 9 | 53-32 | 63 |
| 6.ბილბაო | 36 | 19 | 5 | 12 | 51-39 | 62 |
| 7.სოსიედადი | 36 | 19 | 5 | 12 | 55-49 | 62 |
| 8.ეიბარი | 36 | 15 | 9 | 12 | 54-46 | 54 |
| 9.ესპანიოლი | 37 | 14 | 11 | 12 | 47-49 | 53 |
| 10.ალავესი | 36 | 13 | 12 | 11 | 37-41 | 51 |
| 11.ვალენსია | 37 | 13 | 7 | 17 | 55-62 | 46 |
| 12.მალაგა | 36 | 12 | 9 | 15 | 47-51 | 45 |
| 13.სელტა | 35 | 13 | 5 | 17 | 49-60 | 44 |
| 14.ლას პალმასი | 36 | 10 | 9 | 17 | 52-67 | 39 |
| 15.ბეტისი | 36 | 10 | 7 | 19 | 38-61 | 37 |
| 16.ლეგანესი | 36 | 8 | 9 | 19 | 34-53 | 33 |
| 17.დეპორტივო | 36 | 7 | 11 | 18 | 40-61 | 32 |
| 18.ხიხონი | 36 | 6 | 9 | 21 | 39-70 | 27 |
| 19.ოსასუნა | 37 | 4 | 10 | 23 | 40-89 | 22 |
| 20.გრანადა | 37 | 4 | 8 | 25 | 29-80 | 20 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვალიადოლიდი-მალიორკა | 2:1 |
| ელჩე-მირანდესი | 0:1 |
| უესკა-ტენერიფე | 2:2 |
| ლევანტე-ხირონა | 2:1 |
| კორდობა-რეუსი | 1:0 |
| ალკორკონი-რაიო | 2:0 |
| ალმერია-ნუმანსია | 2:0 |
| ხიმნასტიკი-ოვიედო | 2:2 |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ლევერკუზენი-კიოლნი | 2:2 |
| შალკე-ჰამბურგი | 1:1 |
| მაინცი-აინტრახტი | 4:2 |
| ვოლფსბურგი-გლადბახი | 1:1 |
| აუგსბურგი-დორტმუნდი | 1:1 |
| ვერდერი-ჰოფენჰაიმი | 3:5 |
| დარმშტადტი-ჰერტა | 0:2 |
| ფრაიბურგი-ინგოლშტადტი | 1:1 |
| ლაიპციგი-ბაიერნი | 4:5 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 33 | 24 | 7 | 2 | 85-21 | 79 |
| 2.ლაიპციგი | 33 | 20 | 6 | 7 | 64-37 | 66 |
| 3.დორტმუნდი | 33 | 17 | 10 | 6 | 68-37 | 61 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 33 | 16 | 13 | 4 | 64-37 | 61 |
| 5.ჰერტა | 33 | 15 | 4 | 14 | 41-41 | 49 |
| 6.ფრაიბურგი | 33 | 14 | 6 | 13 | 41-56 | 48 |
| 7.კიოლნი | 33 | 11 | 13 | 9 | 49-42 | 46 |
| 8.ვერდერი | 33 | 13 | 6 | 14 | 58-60 | 45 |
| 9.გლადბახი | 33 | 12 | 8 | 13 | 43-47 | 44 |
| 10.შალკე | 33 | 11 | 9 | 13 | 44-39 | 42 |
| 11.აინტრახტი | 33 | 11 | 8 | 14 | 34-41 | 41 |
| 12.ლევერკუზენი | 33 | 10 | 8 | 15 | 47-53 | 38 |
| 13.მაინცი | 33 | 10 | 7 | 16 | 44-53 | 37 |
| 14.აუგსბურგი | 33 | 9 | 10 | 14 | 35-51 | 37 |
| 15.ვოლფსბურგი | 33 | 10 | 7 | 16 | 33-50 | 37 |
| 16.ჰამბურგი | 33 | 9 | 8 | 16 | 31-60 | 35 |
| 17.ინგოლშტადტი | 33 | 8 | 7 | 18 | 35-56 | 31 |
| 18.დარმშტადტი | 33 | 7 | 3 | 23 | 26-61 | 24 |

**იტალია. სერია ა**

| | |
|---|---|
| ფიორენტინა-ლაციო | 3:2 |
| ატალანტა-მილანი | 1:1 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 35 | 27 | 4 | 4 | 71-23 | 85 |
| 2.რომა | 35 | 25 | 3 | 7 | 79-32 | 78 |
| 3.ნაპოლი | 35 | 23 | 8 | 4 | 81-36 | 77 |
| 4.ლაციო | 36 | 21 | 7 | 8 | 72-45 | 70 |
| 5.ატალანტა | 36 | 19 | 9 | 8 | 60-41 | 66 |
| 6.მილანი | 36 | 17 | 9 | 10 | 53-43 | 60 |
| 7.ფიორენტინა | 36 | 16 | 11 | 9 | 60-51 | 59 |
| 8.ინტერი | 35 | 17 | 5 | 13 | 63-44 | 56 |
| 9.ტორინო | 35 | 12 | 14 | 9 | 65-56 | 50 |
| 10.სამპდორია | 35 | 12 | 10 | 13 | 45-49 | 46 |
| 11.უდინეზე | 35 | 12 | 8 | 15 | 44-49 | 44 |
| 12.კიევო | 35 | 12 | 6 | 17 | 39-54 | 42 |
| 13.კალიარი | 35 | 12 | 5 | 18 | 48-67 | 41 |
| 14.სასუოლო | 35 | 11 | 7 | 17 | 47-55 | 40 |
| 15.ბოლონია | 35 | 10 | 8 | 17 | 36-52 | 38 |
| 16.ჯენოა | 35 | 8 | 9 | 18 | 34-59 | 33 |
| 17.ემპოლი | 35 | 8 | 8 | 19 | 26-55 | 32 |
| 18.კროტონე | 35 | 7 | 7 | 21 | 30-54 | 28 |
| 19.პალერმო | 35 | 4 | 8 | 23 | 30-74 | 20 |
| 20.პესკარა | 35 | 2 | 8 | 25 | 32-76 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| სალერნიტანა-აველინო | 2:0 |
| პრო ვერჩელი-ბრეშა | 2:2 |
| ვერონა-კარპი | 1:1 |
| ბენევენტო-ფროზინონე | 2:1 |
| ლატინა-პერუჯა | 2:2 |
| სპეცია-პიზა | 0:0 |
| ტერნანა-სპალი | 2:1 |
| ნოვარა-ენტელა | 2:0 |
| ჩიტადელა-ვიჩენცა | 2:0 |
| ტრაპანი-ჩეზენა | 1:2 |

**ჰოხტეგაღია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არაუკა-ტონდელა | 1:2 |
| ბენფიკა-გიმარაეში | 5:0 |
| ფეირენშე-სპორტინგი | 2:1 |

**ხუსეთი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ურალი-კრასნოდარი | 1:1 |
| ამკარი-სპარტაკი | 0:1 |
| კრილია-ზენიტი | 1:3 |
| ლოკომოტივი-ორენბურგი | 4:0 |

**მოტლანდია. პრემიერლიგა**

**პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| ჰამილტონი-მოზერველი | 0:1 |
| კილმანროკი-ინვერნესი | 2:1 |
| დანდი-როსი | 1:1 |

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ჰარტსი | 2:1 |
| სტ.ჯონსონი-პარტიკი | 1:0 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| სიონი-ლუგანო | 2:0 |
| სტ.გალენი-ვადუცი | 2:0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ზალცბურგი-რაპიდი | 1:0 |
| ადმირა-ვოლფსბერგერი | 3:2 |
| აუსტრია-რისი | 3:0 |
| სტ.პოლენი-მატერსბურგი | 1:0 |

**ბელგია. 1 დივიზიონი**

**პლეი ოფი (ჩლ)**

| | |
|---|---|
| ვარეგემი-ოსტენდე | 3:1 |

**პლეი ოფი (ელ)**

| | |
|---|---|
| რუზელარე-ლოკერენი | 2:3 |
| სტ.ჟილუა-სტ.ტრუიდენი | 1:4 |
| ეუპენი-კორტრაიკი | 3:2 |
| ბევერენი-ლიერსი | 3:2 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ბაშაქშეჰირი-გენჩლერი | 2:1 |
| ადანა-ტრაბზონი | 1:1 |
| ფენერბახჩე-ანტალია | 0:1 |

**ჩეხეთი. სინოტლიგა**

| | |
|---|---|
| პრჟიბრჟამი-ბრნო | 2:3 |
| ლიბერეცი-იაბლონეცი | 1:1 |
| ჰრადეც კრალოვე-სლოვაცკო | 2:1 |
| ზლინი-იიჰლავა | 0:3 |
| სლავია-დუკლა | 2:2 |

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| იაგელონია-ვისლა | 2:0(1:0) |

**პლეი აუტი**

| | |
|---|---|
| სლასკი-რუხი | 6:0 |
| პლოცკი-კრაკოვია | 1:1 |

**უკრაინა. პრემიერლიგა**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ზორია-ოლეკსანდრია | 1:0 |
| ოლიმპიკი-დინამო | 2:1 |
| ჩერნომორეცი-შახტარი | 0:3 |

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

| | |
|---|---|
| ოდენსე-სილკებორგი | 3:1 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| აიკი-იორებრო | 1:0 |
| კალმარი-ჰაკენი | 0:1 |

**ნორვეგია. ელიტსერია**

| | |
|---|---|
| სტაბეკი-რუსენბორგი | 0:0 |
| კრისტიანსუნი-ლილესტრიომი | 1:1 |
| სანდერფიორდი-ჰაუგესუნდი | 2:0 |
| სარპსბორგი-ტრომსო | 1:1 |
| სონგდალი-ვიკინგი | 4:0 |
| ოდ გრელანდი-სტრომგოდსეტი | 2:0 |
| ბრანი-მიოლდე | 4:1 |

მოამზადა მისეილ ყორეყოლიანმა

**ბუკინისტი იყიდის**

XVIII-XIX საუკუნეების ძველ წიგნებს 1500 ლარად, საბჭოთა კავშირის დროინდელ ფაიფურის ქანდაკებებს 200 ლარად. ძვირია 1945 წლამდე გამოშვებული ჟურნალები, ღია ბარათები, გრავიურები, ნახატები, ხელნაწერები, პლაკატები, საბავშვო წიგნები.

591-75-35-38

# რა სჯობს – კომპოზიტი თუ კერამიკა?

ეკა ირემაშვილი

– რა სჯობს, ექიმო? კომპოზიტი თუ კერამიკა? – ეს არის ყველაზე ხშირად დასმული შეკითხვა სტომატოლოგთან მისული იმ პაციენტებისა, რომლებსაც კბილის ფორმის აღდგენა სურთ.

რა არის კომპოზიტი და რა არის კერამიკა, რომელი სჯობს, როგორია მათი მოხმარების ხანგრძლივობა და რამდენად მტკიცეა კბილი რესტავრაციის შემდეგ? – ამ თემებზე ექიმი-სტომატოლოგი პავლე ხუჯაძე საუბრობს.

**პავლე ხუჯაძე:**

– კბილის ფორმის აღდგენის ყველა მეთოდს აქვს თავისი პლუსები და მინუსები. ძირითადად პაციენტებს აწუხებთ შემდეგი კითხვები – რესტავრაციის შესრულების სიჩქარე, ესთეტიკა, რესტავრაციის სიმტკიცე, მისი მოხმარების ხანგრძლივობა. ყველაზე მნიშვნელოვანი შეკითხვაა ფასი.

***– საუბარი დავიწყოთ რესტავრაციის შესრულების სისწრაფით...***

– გასაგებია, რომ სასურველია სტომატოლოგთან ვიზიტების რაოდენობის შემცირება, რა თქმა უნდა, თუკი არ მოგენატრათ თქვენი ექიმი. ამ ჭრილში, ცხადია, კომპოზიტური რესტავრაცია მომგებიანია. მისი შესრულება შესაძლებელია ერთ ვიზიტში. პაციენტებს ეს ყოველთვის მოსწონთ. მიხვედი უკბილოდ წამოხვედი კბილით.

თუკი პაციენტი დაჟინებით ითხოვს კომპოზიტით აღდგენას, რომლის შესრულების დრო და ფასი ძალიან მოსწონს პაციენტს, ეს რისკია, რომელსაც პაციენტი იღებს თავის თავზე. შედეგი არ არის გარანტირებული.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა დეპულპირებული კბილი, რომლებიც აღდგენილია კომპოზიტით, სკდება. არა, მაგრამ ეს რისკია და ვერავინ გაგცემთ პასუხს შეკითხვაზე, თუ რამდენ ხანს გაძლებს რესტავრაცია. შეიძლება, არც არაფერი მოუვიდეს.

კერამიკულ რესტავრაციაზე ეკონომია შეიძლება დაგიჯდეთ შემდგომში კბილის ამოღებად. ქირურგები კი გვყავს ჯადოქრები, მაგრამ სიამოვნება ნაკლებად არის. შემდგომში კი მოგიწევთ იმპლანტის გაკეთება, რაც გაცილებით ძვირია, ვიდრე კერამიკა. ასე რომ, პაციენტებს ამ შემთხვევაში ვეუბნებით – თავად აირჩიეთ.

***– რა ხდება კერამიკის არჩევის დროს?***

– კერამიკის შემთხვევაში საქმე რთულად არის. უნდა მომზადდეს კბილი, აიღოს ანაბეჭდები, შემდგომ გადაეცეს ლაბორატორიას. პაციენტი მიდის სახლში დროებითი რესტავრაციით და მხოლოდ კონსტრუქციის დამზადების შემდეგ მოხდება მისი ფიქსაცია პირის ღრუში. სამუშაოების მთელი კომპლექსი პირველიდან ბოლო ვიზიტამდე რამდენიმე დღეს მოითხოვს.

პავლე ხუჯაძე

***– ფინანსურად რომელი უფრო ხელმისაწვდომია?***

– ფასი მთავარი კითხვაა. ითვლება, რომ კომპოზიტი უფრო იაფია. აქ საჭიროა დაზუსტება, თუ რისგან შედგება რესტავრაციის ფასი: პირველ რიგში, თავად კომპოზიტი. დღეისათვის ბაზარზე მასალების უზარმაზარი არჩევანია, ყველაზე იაფიდან დაწყებული და ძალიან ძვირით დამთავრებული. კომპოზიტის ხარისხზე პირდაპირ არის დამოკიდებული რესტავრაციის ფასიც. სიმტკიცე, ელასტიკურობისა და გაფართოების კოეფიციენტი, პოლირების სიმარტივე. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. მასზეა დამოკიდებული, თუ რამდენი ხანი იმუშავებს კომპოზიციური რესტავრაცია.

პაციენტს, რა თქმა უნდა, თავად არ შეუძლია განსაზღვროს კომპოზიციური რესტავრაციისათვის საჭირო პარამეტრები და არც არის საჭირო. ეს ექიმის მოვალეობაა, მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ რესტავრაცია კარგი კომპოზიტისგან იაფი ვერ იქნება.

შემდეგი საკითხია წებო – მის ხარისხზე ბევრია დამოკიდებული. პოლიმერიზაციული ლამპა – მისი დონიდან და მისი მოხმარების ცოდნაზეა დამოკიდებული, გექნებათ თუ არა შემდგომი ტკივილები, ხომ არ დაირღვევა ბჟენის მიწებება, სწორად მოხდება თუ არა ბჟენის პოლიმერიზაციული შეკუმშვა. და ბოლოს საპრიალებლები – რეზინებს, ჯაგრულებს, დისკებს, ჯაგრისებსა და პასტებსაც გარკვეული ფასი აქვს. ეს რაც ეხება თვითღირებულებას.

***– კიდევ რამ შეიძლება იმოქმედოს ფასზე?***

– შესრულების ტექნიკამ. იგი დამოკიდებულია ექიმის კვალიფიკაციაზე. ყურადღება მიაქციეთ – არა სტაჟზე ან ასაკზე, არამედ კვალიფიკაციაზე. ნებისმიერი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსი და, შესაბამისად, თქვენს პირის ღრუში ჩატარებული ხარისხიანი მომსახურება ფასიანია.

ყველაფერი ერთად რომ შევაჯამოთ, კარგი კომპოზიტური რესტავრაცია ვერ ეღირება 20-30 ლარი. თუკი თქვენ გაინტერესებთ ხარისხი, გაამზადეთ 100-200 ან მეტი. ეს დამოკიდებულია კბილის დაშლის მასშტაბურობასა და თქვენს მოთხოვნებზე, გქონდეთ ესთეტიკური რესტავრაცია. ფასი, შესაძლოა, 300-400 ლარამდეც კი გაიზარდოს.

***– თუკი შევადარებთ კერამიკული ჩანართისა თუ გვირგვინის ფასს?***

– ამ სამუშაოს ფასიც დამოკიდებულია მასალაზე, რა მასალით მზადდება კერამიკული ჩანართი, საანაბეჭდო მასაზე, საფიქსაციო ცემენტსა და, რა თქმა უნდა, ექიმისა და კბილის ტექნიკოსის კვალიფიკაციაზე. კერამიკული ჩანართებისა და გვირგვინების ფასი, შესაძლოა, ვარირებდეს 250 ლარიდან 500 ლარამდე.

ეს, ცხადია, არ არის სრული ინფორმაცია ამ თემაზე და პაციენტისთვის რთულია ნიუანსებში გარკვევა, მაგრამ ამის შესახებ ზოგადი ინფორმაცია უნდა გვქონდეს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც ის არის, რომ იპოვოთ თქვენი ექიმი, რომელსაც ენდობით და რომელიც დაგეხმარებათ, მიიღოთ სწორი გადაწყვეტილება.

## ამერიკელმა 59-კილოგრამიანი პითონი დაიჭირა

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა 59-კილოგრამიანი პითონი დაიჭირა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ადგილობრივმა ტელეარხმა გამოაქვეყნა. მოკლული გველის სხეულიდან 78 კვერცხი ამოიღეს.

ტელეარხის ინფორმაციით, დასტინ კრამი ორქიდეების მოშენებით არის დაკავებული, ხოლო თავისუფალ დროს პითონებზე ნადირობს. 59-კილოგრამიანი გველი მისი ყველაზე მსხვილი ტროფეი აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ კრამმა წყლის რესურსების ადგილობრივი დეპარტამენტისგან რეპტილიის დაჭერისთვის 375 დოლარი მიიღო და დაახლოებით ასეთივე თანხა პითონის ტყავში მისცეს.

ვიდეორგოლის კომენტარში აღნიშნულია, რომ ყველაზე მსხვილი პითონი, რომელიც სამხრეთ ფლორიდაში დაიჭირეს, 5,5 მეტრის სიგრძის ქვეწარმავალი გახლდათ, რომლის წონამ 72 კილოგრამი შეადგინა.

**კალეიდოსკოპი**

## ლატვიელი პარაშუტისტი დრონიდან გადმოხტა

ლატვიელი პარაშუტისტი ინგუს აუგსტკალნისი მსოფლიოში პირველი პარაშუტისტი გახდა, რომელიც დრონიდან გადმოხტა. აღნიშნული ნახტომი ამატსკის ოლქში განხორციელდა.

თავდაპირველად აუგსტკალნისი 120 მეტრი სიმაღლის სატელეკომუნიკაციო კოშკზე აძვრა, რათა ჩასჭიდებოდა თოკს, რომელიც უკვე ჰაერში მყოფ დრონზე იყო მიბმული. შემდეგ კვადროკოპტერი 330 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა, რის შემდეგაც პარაშუტისტმა ნახტომი განახორციელა.

ნახტომისთვის გამოყენებული აპარატი კომპანია იერონეს-ის მიერ არის შექმნილი. ის 28 ძრავით არის აღჭურვილი და 200 კილოგრამამდე ტვირთის გადატანა შეუძლია. ვარაუდობენ, რომ ასეთი ტექნიკის გამოყენება სამაშველო სამუშაოების დროს იქნება შესაძლებელი, ასევე – ხანძრის ჩასაქრობად, სპორტისა და გართობის სფეროში.

## ინდონეზიის სანაპიროზე გიგანტური ზღვის ცხოველის ლეში გამოირიყა

ინდონეზიის კუნძულ სერამის სანაპიროზე უზარმაზარი ზღვის ცხოველის ლეში აღმოაჩინეს.



15-მეტრიანი არსების ლეში ღამით შენიშნეს. ადგილობრივ მცხოვრებს, რომელმაც ის შენიშნა, თავიდან ნაპირზე გამორიყული გემი ეგონა.

ადგილობრივი მეთევზეები ვარაუდობენ, რომ ლეში გიგანტურ კალმარს ეკუთვნის. ამ არსებებმა, შესაძლოა, გიგანტურ ზომებს მიაღწიონ. მიჩნეულია, რომ გიგანტური კალმარის მაქსიმალური სიგრძე 16,5 მეტრს აღწევს.

სხვა ვერსიის თანახმად, ეს დაღუპული კუზიანი ვეშაპის ლეშია. ამ ზღვის ცხოველის საშუალო სიგრძე 14,5 მეტრს აღწევს.

სპეციალისტებმა ანალიზისთვის ლეშის ქსოვილის ანთალი აიღეს.

## ასტროპროგნოზი
### 15 მაისისათვის

**ვერძი** – დღის პირველ ნახევარში პროფესიულ სფეროში დაბრკოლებები შეგხვდებათ. ერიდეთ აზარტულ თამაშებს. ნუ გარისკავთ. **კურო** – იოლად ნურავის მიენდობით. გადაწყვეტილება დაუფიქრებლად არ მიიღოთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **გაუპები** – სხვისი გავლენის ქვეშ ნუ მოექცევით. დამოუკიდებლად იმოქმედეთ. მოვლენები თქვენ სასარგებლოდ ვითარდება. **კირჩხიბი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. წარმატება გელით შემოქმედებით საქმიანობაში. **ლომი** – ახალი საქმის დასაწყებად შეუფერებელი დღეა. შეცდომის დაშვებას ნეგატიური შედეგი მოჰყვება. **ქალწული** – სიბრძნე და თავშეკავება გმართებთ. წარმატებას მხოლოდ შეუპოვრობა და პრინციპულობა მოგიტანთ. **სასწორი** – სულიერი და ფიზიკური ძალები მოიკრიბეთ და მიზანს მიაღწევთ. კოლეგებთან ურთიერთობას ნუ დაძაბავთ. **ღრიანკალი** – დაგეგმილ მოგზაურობას ნუ გადადებთ. შემთხვევით ნაცნობობას ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიყვარულო ურთიერთობები იმედს გაგიცრუებთ. ბევრს ნუ ილაპარაკებთ. **თხის რქა** – საქმიანი ქაღალდების მოსაწესრიგებლად, ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტისათვის იღბლიანი პერიოდია. პარტნიორებთან ურთიერთობა რეგულირდება. **მერწყული** – ახლობლები გულს გატკენენ. თავი შეიკავეთ ემოციების გამოვლენისაგან. ნუ იაქტიურებთ. **თევზები** – მშვიდი, არაკონფლიქტური დღეა. ყოველგვარი გაუგებრობა წარსულში რჩება.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## ამერიკელმა მეხანძრეებმა კანალიზაციაში ჩავარდნილი იხვის ჭუკები გადაარჩინეს

ვაშინგტონში ადგილობრივი სახანძრო განყოფილების თანამშრომლებმა რვა იხვის ჭუკი ამოიყვანეს სანიაღვრე კანალიზაციიდან. მომხდარის ვიდეოჩანაწერი სოციალურ ქსელებში იქნა გამოქვეყნებული.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია მითითებული, ჭუკები დედას მისდევდნენ, მაგრამ სანიაღვრის თავსახურის ჭრილში ჩაცვივდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სიჯანვოხდი





1. ნიგერიის დედაქალაქი; 2. ჯარი; 3. სტადიონი ბრაზილიაში; 4. გარეული ვირი; 5. სასმისი; 6. წილი ბიზნესში; 7. ალგორითმული ენა; 8. ქართული ბანკი; 9. თევზის კვერცხების გროვა; 10. იგივეა, რაც პლატფორმა; 11. ფელინის ფილმი; 12. იაპონური ანბანის გრაფიკული ფორმა; 13. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 14. არგენტინული ცეკვა; 15. იუპიტერის თანამგზავრი; 16. კათოლიკე ბერების ორგანიზაცია; 17. ... ხერგიანი; 18. წელიწადის მეთორმეტელი; 19. სპორტული ნავი; 20. ამერიკელი მწერალი (XX ს.); 21. „ოთარაანთ ქვრივის“ პერსონაჟი; 22. სპილენძის, ნიკელისა და თუთიის ერთგვარი შენადნობი; 23. ... კოკოჩაშვილი; 24. ნეგროიდული რასის წარმომადგენელი; 25. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 26. სოფელი თერჯოლის რაიონში; 27. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 28. პროგრესის საპირისპირო; 29. „... მარაბდელი“; 30. ... ნახტომი (ასტრ.).

**წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:**

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აფინაჟი; 2. პირველი; 3. დნიპრო; 4. იმოლა; 5. მურყვამი; 7. ძმა; 11. ტიტანი; 15. სარბაზი; 16. ნადური; 17. ტევრი; 18. კლონი; 20. ხავსი; 22. ფიჯი.

**თარაზულად:** 6. ფერაძე; 8. ლიპტონი; 9. ბროკერი; 10. ნიტრატი; 12. მარსი; 13. აზოვი; 14. მარტვილი; 19. კარწახი; 21. პეტეფი; 23. ლორდი; 24. ბრინჯი; 25. აზბესტი; 26. ვირჯინია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფიჯი; 2. დერბი; 3. ბრინჯი; 5. ყანწი; 6. ჭიაურელი; 8. იანქოშვილი; 10. ლიპტონი; 12. სატრაპი; 14. ფლეიტა; 15. ბეტისი; 16. სეიკო.

**თარაზულად:** 1. ფიორდი; 4. ტყაპუჭი; 7. უჯრედი; 9. ჯეჯილი; 11. ანაკლია; 12. სკალპელი; 13. სტრიტი; 17. მელაძე; 18. კილი; 19. ოპტიმიზმი; 20. ლინოტიპი.

# დათო ჭახრაკიას საზოგადოების მხარდაჭერა ესაჭიროება

ახალგაზრდა მსახიობსა და რეჟისორს დათო ჭახრაკიას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და მას საზოგადოების დახმარება ესაჭიროება.

დათოს პრობლემაზე ინფორმაციას მისი მეგობარი გუგა მგალობლიშვილი ავრცელებს:

– ჩვენს მეგობარს დათო ჭახრაკიას დაუდგინდა გულის ანომალიური თანდაყოლილი დაავადება, რომელიც იწვევს ტაქიკარდიულ შეტევებსა და სხვადასხვა სახის გართულებებს, რაც სიცოცხლისთვის საშიშია. დათოს უკვე გაუხშირდა შეტევები და სასწრაფოდ სჭირდება ოპერაცია გულზე, კათეტერული აბლაციის პროცედურა, რაც ნიშნავს გულში დამატებითი გამტარი სისტემის დაბლოკვას, მოყინვას. ოპერაცია სასწრაფოა და უნდა ჩატარდეს 20 მაისამდე.

პროცედურისთვის საჭიროა 15.000 ლარი. დათოს მკურნალობა ჯანდაცვის სამინისტრომ 4.000, თბილისის მერიამ 1.500 და ძველი თბილისის გამგეობამ 1.500 ლარით დააფინანსეს. დარჩენილი 8.000 ლარის შეგროვება სასწრაფოა. ოჯახს შესაბამისი რესურსი არ გააჩნია. გავერთიანდეთ დათოს დასახმარებლად. თანხა დიდი არ არის და ერთობლივი ძალებით ახალგაზრდა მსახიობისა და რეჟისორის გადარჩენა შესაძლებელია.

დათო ჭახრაკიას დასახმარებლად საქართველოს ბანკში სპეციალური ანგარიშია გახსნილი.

# ევროვიზია 2017 პორტუგალიამ მოიგო

## სალვადორ სობრალს გულის პრობლემები აქვს და გულის გადანერგვის რიგში დგას

ევროვიზია 2017-ის გამარჯვებული პორტუგალიის კონკურსანტი სალვადორ სობრალი გახდა.

რიგით 62-ე ევროფესტივალს უკრაინის დედაქალაქმა კიევის საერთაშორისო საგამოფენო ცენტრში უმასპინძლა.

პორტუგალიის წარმომადგენელმა 758 ქულით გაიმარჯვა, მეორე ადგილზე გავიდა ბულგარეთი 615 ხმით, ხოლო მესამე ადგილი მოლდოვამ დაიკავა 374 ხმით.

ევროფესტივალის ფინალისტები იყვნენ პორტუგალია, ისრაელი, პოლონეთი, ბელარუსი, ავსტრია, სომხეთი, ნიდერლანდები, მოლდოვა, უნგრეთი, იტალია, დანია, აზერბაიჯანი, ხორვატია, ავსტრალია, საბერძნეთი, ესპანეთი, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი, კვიპროსი, რუმინეთი, გერმანია, უკრაინა, ბელგია, შვედეთი, ბულგარეთი და საფრანგეთი.

2017 წლის ევროვიზიის კონკურსის ფინალში საქართველოდან ჟიურის ხმის მიცემის შედეგი ევროპას მომღერალმა ნიკა კოჩაროვმა გააცნო.

წლევანდელმა გამარჯვებულმა ქვეყანამ რიგით 63-ე ევროფესტივალის მასპინძლის სტატუსი მოიპოვა.

– გამარჯვება სასიამოვნოა, მაგრამ არა – მთავარი. დღეს გაიმარჯვებ, ხვალ არავის ახსოვხარ. ჩემთვის მთავარი სიმღერაა, ვაპირებ, მეორე ალბომზე ვიმუშაო და საკონცერტო ტურნეც გავმართო. ჰარმონიული მუსიკა სულ სხვაა, რომელსაც ბოლო დროს აღარ უსმენენ. რადიოების მეშვეობით ადამიანებს ერთსა და იმავე სიმღერას მრავალჯერ ასმენინებენ, რათა ისინი საბოლოოდ მოაწონონ. ბედნიერი ვიქნები, თუკი ამ ყველაფერს შევცვლი, რაშიც ჩემი და ლუიზა დამეხმარება, – განაცხადა პორტუგალიის წარმომადგენელმა სალვადორ სობრალმა.

საქართველოს წარმომადგენელი თამარა გაჩეჩილაძე ევროვიზიის სიმღერის კონკურსს პირველ ნახევარფინალში გამოეთიშა. 2017 წლის ევროვიზიის ნახევარფინალში თამარა გაჩეჩილაძე ჟიურის ხმებით მე-8 ადგილზე, მაყურებლის ხმებით – მე-13 და ჯამში – მე-11 ადგილზე გავიდა.

სალვადორ სობრალმა საფინალო კონცერტის დასასრულს სიმღერა დასთან, ლუიზასთან ერთად შეასრულა, რადგან სიმღერა ევროვიზიისთვის მომღერალს სწორედ დამ დაუწერა. სალვადორ სობრალს გულის პრობლემები აქვს. იგი გულის გადანერგვის რიგში დგას და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ რთულია. ევროვიზიაზე რეპეტიციების დროს მას და ეხმარებოდა.

პორტუგალიას უმაღლესი 12 ქულა დაუწერეს შვედეთმა, სან მარინომ, ლატვიამ, ისრაელმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, ლიტვამ, სომხეთმა, ისლანდიამ, შვეიცარიამ, ჰოლანდიამ, საქართველომ, უნგრეთმა, ბულგარეთმა, სლოვენიამ, პოლონეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და ჩეხეთმა.

მაყურებელმა პორტუგალიას 376 ქულა მიანიჭა, მთლიანობაში კი გამარჯვებულმა 758 ქულა დააგროვა.

# ცოტნე გამსახურდია: „სად არის ინნილიგენცია?“

საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შვილი ცოტნე გამსახურდია ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აფასებს და ხელოვანი ხალხის სიჩუმით გაკვირვებულია:

– ჩვენი „ერის მოამაგე“ ინნილიგენცია იღებს ხმას რამეზე საერთოდ? ყველაფერი კარგად არის ქვეყანაში თუ მარტო მიშას დროს ერეოდნენ პოლიტიკაში?

სად არიან მსახიობები, მომღერლები, მწერლები? ბიძინეს გადაგდებულმა ძვალმა ხომ არ დაახრჩო?

ყველა ერთად რომ გადაბა, ერთი კაცი/ქალი არ გამოვა, ეს დედააფეთქებულები...

# ნინო ჩხეიძეს სოჭში ჩატარებული კონცერტის გამო აკრიტიკებენ

მომღერალ ნინო ჩხეიძეს სოჭში გამართული კონცერტის გამო აკრიტიკებენ. სოციალურ ქსელში მომღერალმა თავად გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც სოჭში გამართული კონცერტის ნაწყვეტია აღბეჭდილი. საღამოს წამყვანები ვახო ბიჭიკაშვილი და ნიკა არაბიძე არიან.

**რუსკა მჭედლიძე:**

– იმ ოკუპანტის გართობა, რომელიც ამ წუთებშიც აგრძელებს ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას და ასწლეულებია, დაუნდობლად გვებრძვის, ეროვნული სირცხვილია.

ვერ წარმომედგინა, თუ ასეთ შეცდომას დაუშვებდნენ ნიკა არაბიძე, ვახო ბიჭიკაშვილი და ნინო ჩხეიძე. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა და შეუძლებელია ასეთი საქციელის გამართლება.

არსებობს ისეთი ღირებულებები, რომლებსაც არასდროს უნდა გადააბიჯოს არცერთმა თავმოყვარე ადამიანმა. ჩემთვის ყველა ერთია. ვინც უმღერებს ან უცეკვებს ოკუპანტს, ყველა უთავმოყვარეოა.

ეს არის სამარცხვინო ფაქტი. ოკუპანტის სცენაზე ნებისმიერი გასტროლების წინააღმდეგი ვარ. სხვაგან წადით, არ შეიძლება? ომში დაღუპული ჩვენი ვაჟკაცების საფლავებზე ცეკვის ტოლფასია ნებისმიერი ქართველი ადამიანის რუსულ სცენაზე დგომა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### ახალგაზრდა ქალმა პარკში 2,65-კარატიანი ალმასი იპოვა

ამერიკის არკანზასის შტატში მდებარე „ალმასის კრატერის“ პარკის დამთვალიერებელმა ქალმა 10 წუთში 2,65-კარატიანი ალმასი იპოვა.

ოკლაჰომის შტატის მცხოვრებმა 25 წლის ვიქტორია ბროდსკიმ გადაწყვიტა, პარკს სწვეოდა, როდესაც შეიტყო, რომ იქ ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა იპოვა ძვირფასი ქვა, რომლის წონა შვიდ კარატს აღემატებოდა. ის „ალმასის კრატერს“ თავისი დაბადების დღეს ეწვია და სულ რამდენიმე წუთში ფერადი მინის ნამსხვრევის მსგავსი საგანი შენიშნა.

გოგონას არც კი ეგონა, რომ მან ძვირფასი ქვა იპოვა, ვიდრე პარკის მუზეუმში ძვირფასი ქვების ნიმუშები არ ნახა.



– მისის ბროდსკის მიერ ნაპოვნი ქვა ერთ-ერთი ყველაზე ყავისფერი ალმასია მათ შორის, რომლებიც კი აქ მინახავს, – განაცხადა პარკის თანამშრომელმა ვეიმონ კოქსმა. მისი თქმით, ქვას არანაირი დეფექტი არ ეტყობა და თანაბარი, მომრგვალებული ფორმით გამოირჩევა.

კოქსმა ნაპოვნ ალმასს მულტფილმ „კუ-ნინძების“ ერთ-ერთი მთავარი გმირის პატივსაცემად მიქელანჯელო დაარქვა.

### მასმედიამ კეიტ მიდლტონის დის ქორწილის ღირებულება დაიანგარიშა

ბრიტანულმა მასმედიამ კემბრიჯის ჰერცოგინია კეტრინის დის პიპა მიდლტონის ქორწილის ღირებულება დაიანგარიშა. ერთ-ერთი გამოცემის ვარაუდით, ქორწილი 250 ათასი ფუნტი სტერლინგი დაჯდება, რაც 15-ჯერ აღემატება ქორწილის საშუალო ხარჯებს დიდ ბრიტანეთში.

მიდლტონისა და ფინანსისტ ჯეიმს მეთიუსის ქორწილი 20 მაისს პატარძლის ოჯახში გაიმართება, თუმცა ექსპერტები დამატებით კარვების დადგმას არ გამორიცხავენ, ვინაიდან ქორწილს დაახლოებით 350 სტუმარი დაესწრება.

სპეციალისტების შეფასებით, კარვების, მომსახურებისა და გამასპინძლების ხარჯები 135 ათას ფუნტ სტერლინგამდე მიაღწევს. თითქმის 18 ათასი ფუნტი იქნება საჭირო სასმელებისთვის, პატარძლის კაბა 10 ათასი ფუნტი დაჯდება, ხოლო ქორწინების ბეჭედი – 20 ათასი ფუნტი.

ასევე გარკვეული თანხებია საჭირო ყვავილების, ფოტო და ვიდეოგადაღებისთვის, საქორწინო ტორტისთვის, მუსიკისთვის, პატარძლის მეგობრების ჩასაცმელებისთვის.

### დამლაგებელთა კომპანიის მფლობელი საცვლების ქურდობაში გამოიჭირეს

ამერიკის მენის შტატის ქალაქ ბანგორში დააკავეს კლინინგური კომპანიის ტოპლეს კლინინგის მფლობელი, რომელიც სახლში ნახევრად შიშველი დამლაგებლის გამოძახების საშუალებას იძლევა.

ქალი ფაქტზე დააკავეს, როდესაც ის მაღაზიიდან ფარულად ცდილობდა საცვლების გამოტანას.

ფეისბუქში, ბანგორის პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, მან „ჩასაცმელის სწორედ ის ნივთები მოიპარა, რომლებიც ფარავს სხეულის იმ უმეტეს ნაწილს, რომელსაც კლიენტებს მისი ფირმის სახელწოდება ჰპირდება“.

დაკავებულს მაღაზიაში ქურდობისა და გირაოთი გათავისუფლების პირობების დარღვევის ბრალდება აქვს წაყენებული.

### ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი ერთმანეთს ჩუმად ხვდებიან

ჰოლივუდის მსახიობები ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი მალულად ხვდებიან ერთმანეთს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთ ჟურნალზე დაყრდნობით ჰოლივუდ ლაიფი ავრცელებს.

წყვილის ურთიერთობამ მოგვარება მას შემდეგ დაიწყო, როდესაც პიტმა სმას თავი დაანება და მოიბოდიშა. გამოცემას ოჯახის ახლობელმა განუცხადა, რომ ჯოლი ამჩნევს, თუ როგორ ცდილობს მისი მეუღლე, შეიცვალოს და ამიტომ მის მიმართ დამოკიდებულებაც შეცვალა.

– სრულიად ნათელია, რომ ბრედი კვლავაც შეყვარებულია ანჯელინაზე და მასაც უყვარს, – ამბობს ინფორმირებული წყარო.

მისივე მტკიცებით, ბავშვებისთვის ამის თაობაზე არაფერია ცნობილი.

– ბრედი და ენჯი თავიანთი ურთიერთობის მოგვარების აფიშირებას ერიდებიან, რათა ამით ბავშვები არ დააბნიონ, – განაცხადა მან.

გავრცელებული ინფორმაციით, ჯოლი ბავშვებთან ერთად პიტის საცხოვრებლის მახლობლად აპირებს გადასვლას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

### ოთხშაბათი 15 მაისი

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "გურმანია" **14.20** "წიგნების თარო" **15.00, 03.00** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00, 04.00** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **20.40** "სპორტის დაფა" (ჰ"ე) **21.00** ტ/სერ. "**ფელფეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**სპრენიტი**" **01.20** მხ/ფ "**რაღაც ახალი**"

**08.00** დოკ/ფ "ვინჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" **09.00** დოკ/ფ "ევროპის შუაგულში" **10.00** დოკ/ფ "სონია რაკელი" **11.00** დოკ/ფ "ამფორების გზა" **12.00** დოკ/ფ "ტვინი სარკეში" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ფეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "კოდის კონცხი" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ღრუბელი სამყაროს თავზე" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაბოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ "**კაენის ალზეიმება**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**შიშის საფასური**" **01.00** მხ/ფ "**დაუჯერებელი სიყვარული**" **03.25** მხ/ფ "**ნორბიტი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული ნლები**" **22.00** X-ფაქტორი

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შაპი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმატერია**" **19.00** სერ. "**გაბორტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**უბის წიგნაკი**" **00.50** მხ/ფ "**მუსიკა და ლირიკა**" **02.45** მხ/ფ "**მოგონებული წამი**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-წმინდა იოანე მოწყალე **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ **11.10** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**აპაკის აკვანი**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში I **14.55** შვიდგზის ლოცვა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ქართული ან/ფ **15.10** სპექტაკლი "**ეზოში პატი ქალია**" I, II, III **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "ვაზი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-როგორ აცხოვნა ბერმა თავისი მოწაფე **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **21.55** საეკლესიო კალენდარი **22.00** სიახლენი **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან "ანტონ II" **1 22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "ზაქათალა" **00.30** სათაველებთან "ალექსანდრე ჭავჭავაძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

**მაესტრო** **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" **8.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**15 მაისისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4415
- ევრო — 2.6537
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1544
- 100 რუსული რუბლი — 4.2775

## ამინდის პროგნოზი 15 მაისისთვის

## 3 მაისიდან

ქართული დეტექტივი
ტომი 12

# აბუსერიძეების საგა

მაია ბურჭულაძე

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**




## 4 მაისიდან

## სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი
მაგარი ყდა, ფერადი

**ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი**

## 9 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

# დეკამერონი

II ნაწილი

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 11 მაისიდან

## სულხან საბას იგავები

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

## იუმორი

დედა შვილს ეუბნება:

– შვილო, დღეს ყავას ნუ დალევ!

– რატომ, დედა?

– არ გვაქვს!

•••

შვილიშვილი ბებიას ეკითხება:

– ბებო, რატომ გაქვს ასეთი დაბალი პენსია?

– გაიზრდები და გაიგებ, შვილო.

•••

კარზე ზარმა დარეკა, კაცმა გააღო და ხედავს, სამნი დგანან, ქიმიური დაცვის კოსტიუმებსა და აირწინაღებში გამოწყობილნი. ერთ-ერთი ეკითხება:

– გუშინ ანალიზები თქვენ ჩააბარეთ?

•••

პესიმისტი და ოპტიმისტი საუბრობენ. პესიმისტი ამბობს:

– რა საშინელებაა, როგორ მიქრის დღეები, მოიხედავ და თვე უკვე გასულია!

– და ხელფასის დროც მოვიდა!

•••

როკჯგუფის კონცერტია. ყველა ნასვამია. სოლისტ-ვოკალისტს სიმღერის ტექსტი დაავიწყდა. სანამ შესავალს უკრავენ, სოლოგიტარისტთან მივიდა და ჩურჩულით ეუბნება:

– სიმღერის ტექსტი დამავიწყდა და შემახსენე.

– რას ამბობ, საიდან უნდა ვიცოდე? სოლოს ვუკრავ და ეგ არის.

მივიდა ბასგიტარისტთან და ეუბნება:

– სიმღერის ტექსტი დამავიწყდა. დასაწყისი მაინც შემახსენე, თორემ შევრცხვებით.

– აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, სიმღერას საერთოდ არ ვუსმენ, რიტმი მახსოვს და ვუკრავ.

მივიდა მედოლესთან და ახლა იმას ეუბნება:

– იქნებ ტექსტი შემახსენო, დამავიწყდა.

– რომელი სიმღერაა?

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.**




ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

**„პატრიარქის ზაფხული“** კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

# იუვენტუსმა ბენატია გადაიბირა და თვალი კოსტას დაადგა

ტურინის იუვენტუსმა მიუნხენის ბაიერნისგან მეჰდი ბენატიას უფლებები გამოისყიდა. შეგახსენებთ, რომ 2016 წლის ზაფხულში მაროკოელი ფეხბურთელი გამოსყიდვის უფლებით ტურინში 1-წლიანი არენდის ხელშეკრულებით გადაბარგდა. იუვენტუსმა ეს ოფცია აამოქმედა და მეჰდი ბენატია მიუნხენური კლუბისაგან გამოისყიდული იქნა. ტრანსფერის საერთო ღირებულებამ მთლიანობაში 20 მილიონი ევრო შეადგინა, ამ თანხაში შედის იჯარის თანხაც – 3 მილიონი ევრო.

კარლ-ჰაინც რუმენიგე, ბაიერნის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე:

– მსურს, მადლობა გადავუხადო მეჰდი ბენატიას ბაიერნში 2 შესანიშნავი სეზონისათვის და წარმატებები ვუსურვო იუვენტუსში, განსაკუთრებით მოახლოებულ ჩემპიონთა ლიგის ფინალში, 3 ივლისს, მადრიდის რეალის წინააღმდეგ.

მაროკოელ ცენტრალურ მცველთან იუვენტუსმა ხელშეკრულება 2020 წლის 30 ივნისამდე გააფორმა.

იუვენტუსი ამით არ კმაყოფილდება და მზადაა მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდეს, რათა ბრაზილიელი ვინგერის, დუგლას კოსტას ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარმართოს.

კორიერო დელო სპორტის ცნობით, ფაბიო პარატიჩიმ და ბეპე მაროტამ უკვე დაგეგმეს მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელებთან შეხვედრა, რომლის პროცესშიც, ბიანკონერის ხელმძღვანელები მზად არიან ბრაზილიელი ვინგერის დუგლას კოსტას შესაძლო ტრანსფერი განიხილონ, რომელსაც იტალიურ კლუბს უკვე რამოდენიმე თვეა უკავშირებენ.

საუბარია იმ კოსტაზე, რომელიც კლუბში მისი ამჟამინდელი მდგომარეობით უკმაყოფილოა. ბრაზილიელი ფეხბურთელი მიუნხენურ კლუბს გასულ წელს შეუერთდა და ბეპ გვარდიოლას ხელში რეგულარული სათამაშო დროც ეძლეოდა, თუმცა კარლო ანჩელოტის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა.

საკმაოდ შედეგიანი პირველი სეზონისგან განსხვავებით ბაიერნის შემტევმა თამაშს აშკარად მოუკლო და სათამაშო პრაქტიკაც ვეღარ მიიღო, სწორედ ამიტომ 2016-17 წლების სეზონში კოშტა არცთუ ისე ხშირად ხვდებოდა სასტარტო შემადგენლობაში.

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## მარგარეტ ტეტჩერის გულსაბნევი აუქციონზე გაიყიდება

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის სახელგანთქმული გულსაბნევი სოტბის აუქციონის სახლმა გასაყიდად გამოიტანა. მისი ამჟამინდელი მფლობელი ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებს.

გულსაბნევი 1937 წელს საიუველირო კომპანია კარტიერის მიერ არის დამზადებული. როგორც სოტბიში განაცხადეს, გულსაბნევის გამყიდველი და ბრიტანეთის პრემიერი „კარგი დაქალები“ იყვნენ. ერთხელაც ისინი მსჯელობდნენ იმის თაობაზე, თუ როგორ არ შეეფერებოდა ტეტჩერის გულსაბნევი მის ჩასაცმელს.

– რატომ არ შეიძლება, რომ ჩემი გაიკეთოთ? – უთხრა ამჟამად გასაყიდად გამოტანილი სამკაულის მფლობელმა.

საბოლოოდ სწორედ ამ გულსაბნევს იკეთებდა ტეტჩერი მისთვის გადამწყვეტ მომენტებში – მაგალითად, ელისაბედ II-თვის თანამდებობიდან საკუთარი გადადგომის მოხსენების დროს ან აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანთან და მის მეუღლე ნენსისთან შეხვედრისას.

ვაჭრობა 7 ივნისს გაიმართება. ლოტი 25 ათასიდან 30 ათას ფუნტამდეა შეფასებული. გაყიდვიდან შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ჯოსვოხდი

**თარაზულად:** 5. ავადმყოფის ორგანოების ხელით გასინჯვა; 6. ფორტეპიანოს ავტომატურად დამკვრელი მოწყობილობა; 8. ზოგი მცენარის სქელი, სურნელოვანი წვენი; 10. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი; 11. ერთად აკინძული სურათების კრებული; 13. ვულკანის ჩაღრმავება; 16. სეიშელის კუნძულების დედაქალაქი; 18. ცირკის მოედანი; 19. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 21. თარაშ ემხვარის ცხენი; 22. რისამე დამახასიათებელი ნიშანი; 23. ტროპიკული გიგანტური ხე.

**შვეულად:** 1. მაგნიტური ნაკადის საზომი ერთეული; 2. ... და ქარიბდა; 3. ოპტიკური ხელსაწყო ქვემეხის დამიზნების დასაზუსტებლად; 4. ერთგვარი დარაბა ან შტორი; 7. მინანქარი; 9. ზღვის დიდი კიბო; 12. ობობასებრი ცხოველები; 14. სულდგმული ქმნილება; 15. ერთგვარი ტკბილეული; 17. შარდმჟავის მარილები; 20. სატრფიალო პოეზიის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*